პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 217 (13601) | პარასკევი, 23 სექტემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

## ინიციატორებს მხარი აუბეს

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ჭიათურელ მაღაროელთა თაოსნობას მხურვალედ გამოეხმაურნენ ზესტაფონელი მეტალურგები. ისინი ჩაებნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, აიღეს ახალი ვალდებულებანი და განაახლეს შეჯიბრება ზაპოროჟიელ და ალავერდელ მეტალურგებთან.

ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ზ. ჩხეიძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ო. ბუხნიკაშვილი) ვალდებულება აიღო აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, განამტკიცოს შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა, 1966-67 წლების გეგმა შეასრულოს ვადამდე. სრულყოს დახურულ ელექტროღუმელებში ლითონის დნობის ტექნოლოგია, 20-30 პროცენტით გაადიდოს მეორე საამქროს საპროექტო სიმძლავრე, რისთვისაც ვადამდე დაამთავროს სამი ღუმელის რეკონსტრუქცია. მეტალურგები მომჭირნეობით გამოიყენებენ მასალებს, ნედლეულს, ელექტროენერგიას. მარტო რაციონალიზატორები ხუთწლედის ფონდში შეიტანენ 800 ათას მანეთს.

ზესტაფონელი მეტალურგები საქმით შეუდგნენ აღებულ ვალდებულებათა შესრულებას. სამოცზე მეტი მდნობელთა კომუნისტური შრომის ბრიგადა და ათასობით კომუნისტური შრომის დამკვრელი ხუთწლედის ვახტზე დგას. ზეგეგმით ლითონს იძლევიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ლ. გაჩეჩილაძის, სოციალისტური შრომის გმირის კ. მდივნის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გ. ნანიტაშვილის, ორდენოსნების ზ. ბუცხრიკიძის, ვ. ყანჩაველის, ლ. კობახიძის და სხვათა კომუნისტური შრომის ბრიგადები. ყოველდღიურად აუმჯობესებენ მუშაობას პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე საამქროების კოლექტივები, ისინი ზრდიან ლითონის გამოდნობას.

ღირსეული შეხვედრა დიად თარიღს




# კომუნისტთა ავანგარდული როლის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

[ა]მხანაგებო! სკკპ XXIII ყრილობამ შეაჯამა პარტიის ...ი პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის ...საბჭოთა ხალხის გმირული შრომის შედეგები, გვიჩვე...და ღრმად დაასაბუთა კომუნიზმის მშენებლობის მო...ეტაპის პერსპექტივები და მიმართულებანი.

...რილობამ განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი ამოცანები ...ტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკო...მიური, იდეოლოგიური, ორგანიზატორული საქმიანო... დარგში, დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნე...ს განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგ... დირექტივები.

...ვენი რესპუბლიკის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალ...ნ ერთად ყრილობის გადაწყვეტილებებს შეხვდნენ ...გორც თავიანთ ღვიძლ საქმეს და დიდი აღმავლობით ...უდგნენ ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შეს...ლებას.

...უთწლიანი გეგმა ჩვენს რესპუბლიკას დიდ პერსპე...ვებს უსახავს. ხუთწლეულში დასახულია მრეწველო... პროდუქციის წარმოების მოცულობა გადიდდეს და...ებით 1,6-ჯერ, აქედან ელექტროენერგიის გამომუ...ებისა — 1,9-ჯერ, სატვირთო ავტომობილების წარ...ბისა — 2-ჯერ, მინერალური სასუქების წარმოებისა 2,2-ჯერ და სხვ. გათვალისწინებულია აგრეთვე ჩაის, ...ძნის, ხილის, ბოსტნეულის, ციტრუსების, თამბაქოსა ...სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების ...შვნელოვანი ზრდა.

...განამტკიცებს რა წარმატებებს, რომლებიც მიღწეულია ...ილობისწინა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რესპუბლი... მრეწველობამ რვა თვის გეგმა შეასრულა 105 პრო...ტით და გასული წლის შესაბამისი პერიოდის დონეს ...აჭარბა 14 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ...ის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით, რაც 10 ...ცენტით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან ...დარებით.

...ახალი სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს სოფლის ...ურნეობის მუშაკებმა. რესპუბლიკის მეჩაიეებმა ვადა...ორი თვით ადრე გადაჭარბებით შეასრულეს ხუთწლე...ს პირველი წლის დავალება — მოკრიფეს და სახელ...ფოს ჩააბარეს 201,6 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ...ს ფოთოლი და წლიური გეგმა შეასრულეს 103,3 პრო...ტით. 17 სექტემბრისათვის მოკრეფილია 221 ათასი ...ნა ჩაის ფოთოლი, რაც 50 ათასი ტონით მეტია, ვიდ... მოკრეფილი იყო გასული წლის ამავე პერიოდში. ვა...დე შესრულდა სახელმწიფოსათვის მარცვლის ჩაბარე... გეგმა, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების სა...მწიფოსათვის მიყიდვის 8 თვის გეგმა.

...აგრამ ყველაფერი, რაც გაკეთდა, მხოლოდ დასაწყი...იმ დიდი მუშაობისა, რომელიც ხუთწლედის განმავ...ობაში უნდა შევასრულოთ.

...ვენი ქვეყნის ეკონომიკის, კულტურის განვითარების ...ოგრამის შესრულება, რომელიც სკკპ XXIII ყრილო... დასახა, მოითხოვს ყველა საბჭოთა ადამიანის დიდ ...ადინეობას. ეს მეცადინეობა მით უფრო ნაყოფიერი ...ება, რაც უფრო მეტ ზრუნვას გამოვიჩენთ პარტიის, ...გორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წა...მართველი ძალის, როლის ამაღლებისათვის. კომუნის...რი მშენებლობის ამოცანათა გადაჭრაში პარტიის მი... თავისი გაზრდილი როლის შესრულება პირდაპირ და ...ულოდ დამოკიდებულია ყველა მისი რგოლის, ყველა ...განიზაციის, თვითეული კომუნისტის მუშაობაზე.

...XXIII ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ...განიზაციული და იდეოლოგიური მუშაობის საკითხებ..., სკკპ წესდებაში შეტანილი ცვლილებანი მიზნად ისა...ენ იმას, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს პარტიის წევრის ...დება, გაძლიერდეს კომუნისტთა პასუხისმგებლობა ...ვიანთი ორგანიზაციისა და მთლიანად პარტიის საქმია...ისათვის. კომუნისტი მხოლოდ მაშინ ასრულებს მასე... წინამძღოლის როლს, როცა ყველგან და ყველაფერ... გვიჩვენებს იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა იშრო..., ისწავლოს, დაიცვას კომუნისტური მორალის ნორმე...და პრინციპები, როცა მისი სიტყვა და საქმე ერთმა...ს არ სცილდება. კომუნისტს აქვს მხოლოდ ერთი პრი...ეგია უპარტიო ამხანაგების წინაშე — იკისროს ყვე...ე ძნელი ამოცანები და მოვალეობანი და პირნათლად ...სრულოს ისინი, მუდამ იაროს წინ. კომუნისტების მა...ლითი დიდი საშუალებაა პარტიის მიერ დასახული მიზ...ის მიღწევისათვის ბრძოლაში.

...კკპ XXIII ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება ...ქცია იმას, რომ თვითეული კომუნისტი ღირსეულად ...რებდეს ლენინური პარტიის წევრის მაღალ წოდებას, ...ს კომუნიზმის მშენებელთა ავანგარდში. ამ მოთხოვ... პარტია მუდამ აყენებდა, მაგრამ ჩვენს დროში ივი ...საკუთრებით აქტუალურად გაისმის — კომუნისტური ...ნებლობის დიდი და რთული ამოცანების, საბჭოთა სა...გადოების ცხოვრებაში კომუნისტური პარტიის განუ...ლად გაზრდილი როლისა და მნიშვნელობის პირობე.... კომუნისტთა ავანგარდული როლი, იდეური რწმენა, ...ნინური პარტიის საქმისადმი ერთგულება თავს იჩენს ...ნარეს ყოვლისა მათი თავდადებული შრომით სამე...ნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე.

...კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღა... შეფასება მისცეს საქართველოს მუშების, კოლმეურ...ბისა და ინტელიგენციის თავდადებულ შემოქმედე...ს შრომას და დააჯილდოვეს ჩვენი რესპუბლიკა მეორე ...ნინის ორდენით. სოფლის მეურნეობაში მოპოვებული ...მატებებისათვის რესპუბლიკა წარდგენილია ფართო ...ნებისათვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამო...ნაზე და პირველად დაჯილდოვდა პირველი ხარისხის დიპლომით. ლენინის ორდენებით დაჯილდოებული არიან ჭიათურის მარგანეცის ტრესტი, თბილისის მეტრომშენის სამმართველო და ამიერკავკასიის მეტალურგმშენის № 1 ტრესტი.

რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. დაჯილდოებულთა შორის პარტიის 7 ათასზე მეტი წევრი და კანდიდატია.

რესპუბლიკის ბევრი საწარმო — თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი, ტყიბულქვანახშირის ტრესტის დასავლეთი შახტი და სხვები გამარჯვებული გამოვიდნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები წარმატებით ხელმძღვანელობენ საერთო-სახალხო ბრძოლას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, აღაფრთოვანებენ მშრომელებს იმისათვის, რომ ვადამდე შეასრულონ სახალხო-სამეურნეო გეგმები, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, განახორციელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი.

მიმდინარე წელს დიდი წარმატებანი მოიპოვეს საქართველოს ჩაის ტრესტის საწარმოებმა, რომლებმაც უზრუნველყვეს ჩაის ფოთლის უმაგალითოდ უხვი მოსავლის გადამუშავება. მიმდინარე სეზონის დამდეგიდან ჩაის მრეწველობის 69 საწარმომ გადაამუშავა 181.400 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 36.900 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაი, რის შედეგად სახელმწიფომ მიიღო 4.100 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. ამ საწარმოთა კომუნისტები ნამდვილად ასრულებენ ავანგარდის როლს.

განუწყვეტლივ ზრუნავს წარმოებაში კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერებისათვის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული ორგანიზაცია. ქარხნის პარტკომი და საამქროების პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად მუშაობენ წარმოების გადამწყვეტ უბნებზე კომუნისტთა სწორი განაწილების საკითხებზე, უნარიანად ხელმძღვანელობენ მათ. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია და დირექცია საჭირო პირობებს უქმნიან და დიდ დახმარებას უწევენ პარტიის წევრებს, რიგით მუშებს მათი პროფესიული ზრდისათვის, მათი უნარის სრული გამოვლინებისათვის. ქარხანაში გაიზარდა და წარმატებით მუშაობს ბევრი ნოვატორი და მოწინავე, რომლებსაც მთელ რესპუბლიკაში იცნობენ, — მეფოლადეები გრიგოლ ბერეკაშვილი, ილარიონ ტაბატაძე, შოთა შუბითიძე, მებრძმედეები მამია შათირიშვილი, რევაზ კანდიაშვილი, მგლინავები ავთანდილ ლომიძე, გიორგი ქადაგიძე და სხვ. აქ აღიზარდნენ წარმოების შესანიშნავი მეთაურები. ამ მხრივ დამახასიათებელია კომუნისტ პავლე წერეთლის შრომითი საქმიანობა. 1951 წლიდან დღემდე იგი მუშაობს ქარხნის მილსაგლინავ საამქროში და განვლო გზა ოსტატიდან ამ უდიდესი საამქროს უფროსამდე, გახდა ლენინური პრემიის ლაურეატი.

მილსაგლინავ საამქროში 201 კომუნისტია. ამ ადამიანებმა შეძლეს სავსებით გარდაექმნათ საამქროს მუშაობა, განეხორციელებინათ აქ საწარმოო პროცესების ფართო ავტომატიზაცია, გაედიდებინათ ჩვენი ქვეყნისათვის ესოდენ საჭირო მილების გამოშვება, მიეღწიათ წარმოების მაღალი რენტაბელობისათვის.

ბევრი, ძალიან ბევრია დამოკიდებული კომუნისტი ხელმძღვანელის პირად მაგალითზე. იგი უნდა იცნობდეს საქმეს, აქტიურად იბრძოდეს ნაკლოვანებებისა და დარღვევების წინააღმდეგ, უნარიანად ახორციელებდეს პარტიის მიერ შემუშავებულ ეკონომიურ პოლიტიკას, მხარს უჭერდეს და ავითარებდეს ყოველივე ახალს, მოწინავეს, ნამდვილად ზრუნავდეს ადამიანებისათვის.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას შეუძლია კანონიერად იამაყოს იმით, რომ აღზარდა ბევრი ისეთი სამეურნეო ხელმძღვანელი, წარმოების მეთაური, რომლებიც უნარიანად უძღვებიან მინდობილ საქმეს, მუდამ ახსოვთ, რომ ისინი უწინარეს ყოვლისა არიან პარტიის წევრები, რომ პარტიამ და ხალხმა მათ მიანდეს სოციალისტური წარმოების პასუხსაგები უბნები, და პირნათლად უნდა გაამართლონ ეს მაღალი ნდობა.

თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე გაიზარდა ახალი დიდი სამრეწველო კერა. ეს არის საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის საწარმოთა კომბინატი, რომელიც თავის საცხოვრებელ უბანთან ერთად მთელ მიკრორაიონს შეადგენს. კომბინატი გახდა კარგი თანაშემწე ჩვენი ენერგომშენებლობებისა და უწინარეს ყოვლისა ისეთი დიდი მშენებლობებისა, როგორიც არის თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური და ენგურის ჰიდროელექტროსადგური. ამასთან ერთად მან აითვისა სხვადასხვა მანქანები და აგრეგატები, რომლებსაც აწვდის ენერგეტიკულ ობიექტებს შორის ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ხოლო სატრაქტორო ამწეები, ლითონკონსტრუქციები და მოძრავი საქვაბეები საზღვარგარეთის ქვეყნებში იგზავნება.

ყოველივე ამაში უეჭველი დამსახურება აქვს კომბინატის დირექტორს კომუნისტ გ. ალავიძეს. იგი უნარიანად ეყრდნობა თავის მუშაობაში პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც ერთსულოვანი, შეკავშირებული კოლექტივია. თავიანთ ავანგარდულ როლს წარმატებით ასრულებენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის კომუნისტები. დიდია მათი შრომის, ცოდნის, ორგანიზატორული ნიჭის წილი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოს" შექმნაში; ამ მანქანამ მოსკოვში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედალი მიიღო. შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი ასეთი მაგალითი.

წარმატებანი მრეწველობის განვითარების დარგში უწინარეს ყოვლისა იმის შედეგია, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომუნისტებმა შეძლეს სათავეში ჩასდგომოდნენ მშრომელთა მასების შემოქმედებითს აქტივობას და გასძღოლოდნენ მათ პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლაში. მაგრამ ეს წარმატებები ვერ დაფარავენ და არც უნდა დაფარონ სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ არის მრეწველობის მუშაობაში.

მთელ რიგ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები, ცალკეული კომუნისტები ცუდად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ურიგდებიან ნაკლოვანებებს, არ დგანან სახელმწიფო გეგმების განუხრელი შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში.

იმ საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც ვერ ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს და აქვეითებენ რესპუბლიკის მრეწველობის საერთო კარგ მაჩვენებლებს, ჯერ კიდევ დიდია. 8 თვის გეგმა ვერ შეასრულა საქართველოს 238 საწარმომ, ანუ საწარმოთა საერთო რიცხვის 21 პროცენტმა. ამ საწარმოებმა სახელმწიფოს დააკლეს 25 მილიონი მანეთის პროდუქცია.

სერიოზულად ჩამორჩება ქიმიური მრეწველობა. მისი საწარმოები წლითიწლობით ვერ ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს. მიმდინარე წლის 8 თვეში 18 საწარმოდან გეგმა ვერ შეასრულა 4 საწარმომ, მათ შორის რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანამ, ქუთაისის ლითოფონის ქარხანამ და სხვ.

ცნობილია, რომ მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მთელი პროდუქცია 53,4 პროცენტს შეადგენს რესპუბლიკის მრეწველობის მთელი პროდუქციის მოცულობაში. ახალ ხუთწლედში მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება უნდა გადიდდეს 65 პროცენტით, ხოლო კვების მრეწველობისა — 37,5 პროცენტით. მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა წინაშე, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების განუხრელ ზრდასთან ერთად, დგას უპირველესი ამოცანა — განუწყვეტლივ გააუმჯობესონ საქონლის ხარისხი. ჯერჯერობით რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობა ვერ აკმაყოფილებს იმ მაღალ მოთხოვნებს, რომლებსაც მას მომხმარებლები უყენებენ. ხშირად პროდუქციას უშვებს კონიუნქტურის გაუთვალისწინებლად, დაბალი ხარისხისას, რის შედეგად საწარმოების სახელზე მოდის ბევრი საჩივარი და რეკლამაცია.

მაგალითად, მარტო თბილისის აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ მიმდინარე წლის შვიდ თვეში მიიღო 650-ზე მეტი რეკლამაცია და გადაიხადა 328 ათასი მანეთი ჯარიმა. ტექნოლოგიური რეჟიმისა და სახელმწიფო სტანდარტების დარღვევის მრავალი ფაქტია აგრეთვე კვების მრეწველობის საწარმოებში.

ამას აღარ შეიძლება შევურიგდეთ. ხსენებულ სამინისტროთა ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან მიიღონ ქმედითი ზომები მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა მუშაობაში არსებული დიდი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

დიდი ამოცანები დგას მშენებლების წინაშე. რესპუბლიკაში ახალ ხუთწლედში მნიშვნელოვნად გადიდდება კაპიტალური მშენებლობის მოცულობა. განზრახულია დიდი კაპიტალდაბანდებანი მოხმარდეს საბინაო მშენებლობას. მწყობრში ჩადგება თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ახალი სამი ბლოკი, ქვანახშირის შახტები ტყვარჩელსა და ტყიბულში, კაპროლაქტამის წარმოების დამატებითი სიმძლავრეები, წულუკიძის სინთეზური მასალების ქარხანა, მადნეულის გამამდიდრებელი კომბინატი, ჩამომსხმელი ქარხანა ბორჯომში, პირველადი მეღვინეობის მრავალი ქარხანა, ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკა, სოხუმის საფერმენტაციო ქარხანა და სხვ. მარტო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1.320 ათასი კვადრატული მეტრი ბინები, სკოლები 87 ათასი ადგილით, საბავშვო ბაღები და ბაგები 24 ათასი ადგილით, საავადმყოფოები 7,5 ათასი საწოლით და სხვ.

რესპუბლიკის მშენებლებმა ამ ბოლო დროს რამდენადმე გააუმჯობესეს მუშაობა და მიაღწიეს გარკვეულ წარმატებებს საიჯარო სამუშაოთა გეგმის შესრულებაში. შესრულებულია სამრეწველო საწარმოების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებანი. მაგრამ სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველო წლითიწლობით ვერ ასრულებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებს, სერიოზული ჩამორჩენა აქვს მიმდინარე წლის მსხვილ ასამუშავებელ მშენებლობებზე, მის ჩაბარებულ ობიექტებს დიდი დეფექტები აქვს. სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან ხელმძღვანელობას ვერ უწევს კომუნისტთა ბრძოლას ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. შესუსტებულია ბევრი კომუნისტის პასუხისმგებლობა საწარმოო გეგმების დროულად შესრულებისათვის, სამშენებლო სამუშაოთა ხარისხისათვის.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

## წულუკიძელი ფეიქრების სიტყვა

ჭიათურელთა შესანიშნავ თაოსნობას მხარი აუბეს და თავიანთი ხმა შეუერთეს წულუკიძელმა ფეიქრებმა.

აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელმაც მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით პირველი ადგილი მოიპოვა რესპუბლიკაში, კიდევ უფრო უმატა შრომის ტემპს და ერთსულოვნად ჩაება დიდი ოქტომბრის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ასანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ფეიქრებმა გულდასმით გაიასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და დიადი თარიღების შესახვედრად კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს;

1966 წელს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულონ ერთი თვით ადრე და სამშობლოს დამატებით მისცენ 500 ათასი მანეთის პროდუქცია. ასევე ერთი თვით ადრე შეასრულონ 1967 წლის დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვან 800 ათასი მანეთის პროდუქცია;

შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაადიდონ 3 პროცენტით, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ წელს 0,5 პროცენტით, გაისად — 1 პროცენტით;

რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წინადადებების დანერგვით 1966-1967 წლებში მიიღონ 20 ათასი მანეთი ფულადი ეკონომია;

პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გეგმასთან შედარებით გაადიდონ 10 პროცენტით, ყოველწლიურად გასწიონ 1.500 კილოგრამი ნედლეულის ეკონომია;

ფაბრიკაში სხვადასხვა ეკონომიის გაწევით 1966-1967 წლებში ხუთწლედის ფონდში შეიტანონ 45 ათასი მანეთი;

წელსვე აითვისონ და გამოუშვან აცეტატური ხელოვნური აბრეშუმისა და კაპრონის ძაფის ნაკეთობა — „აკონი".

ფეიქრების ვალდებულება ითვალისწინებს აგრეთვე საწარმოო პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას დღიური ნორმის ვერშემსრულებელთა რიცხვის მინიმუმამდე დაყვანას.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

## ქართული პოეზიის მარგალიტი

### შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები ერევანსა და ბაქოში

ერევანი, 21 სექტემბერი. (სომხეთი). „ვეფხისტყაოსანი" კლასიკური ქართული პოეზიის მწვერვალი, პოეტური სიტყვის ნამდვილი შედევრია. შოთა რუსთაველის ეს გენიალური ქმნილება ცოცხლობდა ქართველი ხალხის გულში და თაობიდან თაობაში გადადიოდა, ადამიანებს უნერგავდა ჰუმანურობას, კაცთმოყვარეობას. ამაზე ილაპარაკეს დღეს შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საზეიმო სხდომის მონაწილეებმა. საიუბილეო სხდომა გაიმართა ერევნის გ. სუნდუკიანის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში. მოხსენებით გამოვიდა პოეტი ნაირი ზარიანი.

სალამოზე სიტყვებით გამოვიდნენ პოეტი ოვანეს შირაზი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი მ. ნერსესიანი, სომხეთის სსრ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. მირზოიანი, პოეტი ა. მირცხულავა, რუსთაველისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა პოეტმა რ. მარგიანმა.

სალამოს დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომლის დროს შესრულდა სომეხ და ქართველ კომპოზიტორთა საუკეთესო ნაწარმოებები.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ე. კოჩინიანი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. მურადიანი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ა. ტერ-გაზარიანცი და რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

ბაქო, 21 სექტემბერი. (საქდესის კორ.). დღეს გაიმართა სალამო, რომელიც მიეძღვნა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, რესპუბლიკის სახალხო მწერალმა მირზა იბრაგიმოვმა.

ხალხთა მეგობრობისა და ძმობის შთამაგონებელი მგოსნის შემოქმედების ჰუმანურ იდეებზე, იმ უზარმაზარ პოპულარობაზე, რომლითაც მისი პოეზია სარგებლობს აზერბაიჯანში, ილაპარაკა მომხსენებელმა — აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ისმაილ შიხლიმ.

უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის" საკუთარი თარგმანები, შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს აზერბაიჯანის სახალხო პოეტებმა: სულეიმან რუსტამმა, მამედ რაგიმმა, პოეტებმა ნაბი ჰაზრიმ, ჰუსეინ ჰუსეინზადემ, ვლადიმერ კაფაროვმა, აბრამ პლავნიკმა, ჯაბირ ნოვრუზმა. შეკრებილთა წინაშე გამოვიდა აგრეთვე თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი შ. ბიწაძე.

სალამოს დაესწრნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ახუნდოვი, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ე. ნ. ალიხანოვი, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ა. ყურბანოვი.

## მიეცეთ მუშებს კარგი ხარისხის და მოხერხებული სპეციალური ტანსაცმელი

მილიარდამდე მანეთს ხარჯავს ყოველწლიურად საბჭოთა სახელმწიფო სპეციალური ტანსაცმლისათვის, რომელიც უფასოდ ეძლევა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოთა ათეულ მილიონობით მშრომელს.

ეს მონაცემები მოიყვანეს 21 სექტემბერს საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე. სხდომა განიხილავდა საკითხს, თუ რა უნდა ვიღონოთ, რომ შევასრულოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1966 წლის 9 აგვისტოს დადგენილება „სპეციალური ტანსაცმლით, სპეციალური ფეხსაცმლითა და დამცველი სამარჯვებით მუშათა და მოსამსახურეთა უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ".

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მსუბუქი და ქიმიური მრეწველობის სამინისტროთა მოხსენებანი.

საქმე ეხებოდა უწინარეს ყოვლისა იმას, რომ საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს სპეციალური ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და დამცველი სამარჯვების ხარისხი და იმას, რომ უფრო კარგი ხარისხისა და მოსახერხებელი იყოს ისინი.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშავა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილების შესრულების ღონისძიებანი. (საქდესის კორ.).



ხუთწლედის პირველ წელს კარგ მაჩვენებლებს აღწევს თბილისის საინსტრუმენტო ქარხანა. საწარმოს კოლექტივმა გასული რვა თვის განმავლობაში 2,3 პროცენტი ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

ქარხანაში მოწინავე მუშის სახელი დაიმკვიდრა მღარავმა ამირან აივაზოვმა (სურათზე მარცხნივ). აი ახლაც საამქროს ტექნიკური კონტროლის ოსტატი მიხეილ ლუშნიკოვი „ფრიადზე" აფასებს მის მიერ დამზადებული პროდუქციის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

...ხელმძღვანელები შემოწმებით...

# კომუნისტთა ავანგარდული როლის შემდგომი ამაღლების ღონისძიებათა შესახებ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით

(დასასრული)

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არის შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის წამატებისა და მინაწერების შემთხვევები.

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებმა, რაიკომებმა, საქალაქო კომიტეტებმა, მშენებლობათა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა ამ მანკიერი მოვლენების წინააღმდეგ, დაამყარონ სახელმწიფო წესრიგი მშენებლობებზე.

განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები დგას ენგურჰესის მშენებლობის პარტიული ორგანიზაციისა და კომუნისტების წინაშე.

უდიდესი მუშაობა ენგურზე მოითხოვს დამპროექტებელთა და მშენებელთა ძალების დიდ დაძაბვას და პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიურ ყურადღებას.

მშენებლობაზე კარგი კოლექტივია, მაგრამ სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. ვერ სრულდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები. ურიგდებიან მათს გაძვირებას. მთელ რიგ შემთხვევებში სამუშაოები უხარისხოდ სრულდება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მშენებლებისათვის ჯერ კიდევ არ არის შექმნილი საჭირო კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, მუშათა დაბებში ჯერ კიდევ ჯეროვნად არ მოუგვარებიათ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობა, სასურსათო და სამრეწველო საქონლით ვაჭრობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს ენგურჰესის მშენებლობას და მოითხოვს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისაგან, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებებისაგან ყოველი ღონისძიებით დაეხმარონ ამ უმნიშვნელოვანეს მშენებლობას.

სკკპ XXIII ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას. ისინი დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, საწარმოების მომზადებასთან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასასვლელად. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა მიმდინარეობს თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში, კამვოლ-მაუდის კომბინატში, თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში და სხვ. კვების მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები უკვე გადავიდნენ მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდზე. ეს არის თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა და ჩვენი რესპუბლიკის ოთხივე თამბაქოს ფაბრიკა.

მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყონ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე წარმატებით გადასვლა და განხორციელება, სახელმწიფო გეგმების განუხრელი შესრულება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მისი თვითღირებულების შემცირება. სამეურნეო ანგარიში უნდა დავნერგოთ ყოველ უბანზე, უნარიანად გამოვიყენოთ მატერიალური წახალისების სისტემა, განვამტკიცოთ შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა, გავაუმჯობესოთ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ დასახულია განხორციელდეს მუშა-მოსამსახურეთა გეგმაზომიერი გადაყვანა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე. ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა ზემოაღნიშნული საკითხი და ურჩია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს შესაბამის საკავშირო სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით 1966 წელს ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადაიყვანონ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა პირველი ჯგუფი. საწარმოთა ხელმძღვანელებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის დროს უნდა უზრუნველყონ წარმოების ეფექტიანობის გადიდება, სახელმწიფო გეგმების უთუოდ შესრულება და შრომის ნაყოფიერების კიდევ უფრო გადიდება. საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს მუშებისა და მოსამსახურეების დასვენების ორგანიზაციას.

ამხანაგებო! პარტიის XXIII ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და მაისის პლენუმებმა პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ შესრულდეს უმნიშვნელოვანესი ამოცანა — განხორციელდეს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა მიწის ნაყოფიერების გადიდების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი ზრდის გზით. ამასთან ეს პროდუქცია მიღებული უნდა იყოს არა ყოველგვარ ფასად, არამედ შრომისა და სახსრების რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯით. მთავარია, რომ თვითეულ ჰექტარ მიწაზე მივიღოთ რაც შეიძლება მეტი იაფი პროდუქცია. ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების და მათი პარტიული ორგანიზაციების წარმატებით მუშაობის საზომია მეურნეობის ეკონომიური ეფექტიანობა, რენტაბელობის მაღალი დონე. დაგეგმვის ახალმა წესმა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების სტაბილური გეგმების დაწესებამ, სახელმწიფო შესასყიდი ფასების გადიდებამ, მექანიზაციის ფართოდ განვითარებამ და სხვა ღონისძიებებმა, რომლებსაც პარტია ახორციელებს, დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია სოფლის მოსახლეობაში, საშუალება მისცა მიეღწიათ მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

მიწის გონივრული გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ფართოდ გამოვიყენებთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ისეთ ეფექტიან ბერკეტებს, როგორიც არის მელიორაცია, ქიმიზაცია, მექანიზაცია, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა. საჭიროა, რომ ჩვენი კადრები კარგად ერკვეოდნენ და ფართოდ ნერგავდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ინტენსიფიკაციის ამ ბერკეტებს, შეეძლოთ ანგარიში, იცავდნენ ყაირათიანობასა და მომჭირნეობას შრომისა და სახსრების ხარჯვაში. ყოველივე ეს უნარიანად უნდა იყოს შეხამებული მატერიალური დაინტერესების პრინციპებთან, რომლებიც რეკომენდებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილ გადაწყვეტილებებში.

დიდი ამოცანები უნდა გადაწყვიტონ ხუთწლედში საქართველოს მინდვრების, ფერმებისა და პლანტაციების მშრომელებმა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვნად უნდა გაადიდონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. 1970 წელს რესპუბლიკის მეჩაიეებმა უნდა აწარმოონ და გადასამუშავებლად ჩააბარონ 235 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ხუთწლედის დამლევისათვის ყურძნის წარმოება მიაღწევს 486 ათას ტონას, ხილისა — 289 ათას ტონას. მნიშვნელოვნად გაიზრდება ციტრუსების, თამბაქოს, დაფნის, ეთერზეთოვანი ნედლეულისა და სხვა პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა.

სასოფლო პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, მათი ინიციატივა, ორგანიზაციულ-პარტიული და პოლიტიკური მუშაობის მთელი მრავალფეროვანი ფორმები ახლა ხმარდება დიდი ამოცანების განხორციელებას, რომლებიც პარტიამ დასახა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის, ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ამაღლებისათვის მოწინავეთა დონემდე.

კომუნისტების ავანგარდული როლის, მათი მაღალი შეგნების, პარტიის პოლიტიკის სწორად გაგების გამოვლინებაა რესპუბლიკის წარჩინებულ მეჩაიეთა ინიციატივა. მათი თაოსნობა, რომელმაც ფართო მხარდაჭერა ჰპოვა, იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ჰექტარი ჩაის პლანტაცია მდიდარი, უხვმოსავლიანი გახადონ. საქართველოს მეჩაიეთა სასახელო შრომითი გამარჯვება მიმდინარე წელს კარგ მაგალითს გვიჩვენებს ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლაში. მათი დიდი მიღწევა მოგვიწოდებს ახალი წარმატებებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წლის ვადამდე დამთავრებისათვის, სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის დამზადების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად.

გაშლილ შეჯიბრებაში 200 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღებისათვის განსაკუთრებით ისახელეს თავი აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, მახარაძის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ლანჩხუთის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, ტყიბულის, წყალტუბოს, წულუკიძის, ცხაკაიასა და ხობის რაიონების მეჩაიეებმა.

მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და დამზადების ასეთი მაღალი დონე მიღწეულია ქართველ მეჩაიეთა თავდადებული შრომით, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით.

საქართველოს მეჩაიეებთან ერთად მარცვლის დამზადების წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს ჩვენი რესპუბლიკის მემინდვრეებმა. 10 სექტემბრისათვის გეგმით გათვალისწინებული 70.000 ტონა მარცვლის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარდა 71.600 ტონა მარცვალი, აქედან 64.430 ტონა ხორბალი. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი წითელწყაროს, მარნეულისა და ზოგიერთი სხვა რაიონის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მხვნელ-მთესველებმა. ეს წარმატება განსაკუთრებით საგულისხმოა იმიტომაც, რომ იგი მხვნელ-მთესველებმა მოიპოვეს ამინდის არახელსაყრელ პირობებში, მოიპოვეს შრომის კარგი ორგანიზაციის, წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენების შედეგად.

წელს ხანგრძლივმა გვალვამ, განსაკუთრებით კახეთისა და ქართლის რაიონებში, უარყოფითი გავლენა მოახდინა ვენახების მდგომარეობაზე. ამ რთულ პირობებში მკაფიოდ იჩინა თავი პარტიის რაიკომების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტორგანიზაციების, სოფლის კომუნისტების მამობილიზებელმა და მაორგანიზებელმა ძალამ. მათ მაქსიმალური ეფექტიანობით გამოიყენეს სარწყავი წყალი, დარაზმეს ადამიანები გვალვის შედეგების ლიკვიდაციისათვის საბრძოლველად და ყურძნის კარგი მოსავალი მოიყვანეს.

ახლა გაჩაღებულია რთველი. წელს რესპუბლიკის მეურნეობებმა სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 190 ათასი ტონა ყურძენი. რაიკომებმა, სასოფლო პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ რთველი ორგანიზებულად დამთავრდეს. ღვინის მრეწველობის კომუნისტმა მუშაკებმა უნდა იზრუნონ ადამიანთა დასარაზმავად ყურძნის შეუფერხებელი მიღებისა და გადამუშავებისათვის.

სახელმწიფო დავალებათა შესრულებას დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან აჭარის პარტიული ორგანიზაციები და კომუნისტები. მიმდინარე წლის დამდეგს რესპუბლიკის მეციტრუსეებმა გამოიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ხუთწლედის დამლევისათვის ისინი შეძლებენ ერთისამად გაზარდონ ციტრუსების წარმოება საზოგადოებრივ სექტორში.

მეცხოველეებიც გვახარებენ თავიანთი წარმატებებით. უნდა აღინიშნოს, რომ 1966 წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დონე ყველაზე მაღალი იყო უკანასკნელ წლებში. პარტიის რაიკომებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი მეცხოველეობის განვითარებას, უფრო კონკრეტულად, მიზანდასახულად ეწევიან ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს.

ახორციელებენ რა პარტიის XXIII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები, პარტიის სასოფლო რაიკომები მეტწილად ახლებურად უდგებიან მათ წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებას, შეუპოვრობასა და ინიციატივას იჩენენ მუშაობაში, წარმატებით იბრძვიან წარმოებაში კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებისათვის.

სოფლის კომუნისტების მებრძოლი, ნაყოფიერად მომუშავე კოლექტივია, მაგალითად, გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის სასოფლო-სამეურნეო არტელის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც 84 კომუნისტს აერთიანებს. ამ პარტიულ ორგანიზაციას სათავეში უდგას კოლმეურნეობის ეკონომისტი გიორგი გოგაშვილი. ყველა კომუნისტი უშუალოდ მონაწილეობს საკოლმეურნეო წარმოებაში, მაგალითს იძლევა შრომასა და ყოფაცხოვრებაში. ყველა კომუნისტი იმყოფება სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, დაუცხრომლად იბრძვის მეურნეობის ეკონომიკის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. სწორედ ასეთი შემოქმედებითი და შთაგონებული შრომით იხვეჭენ ავტორიტეტს პარტიის წევრები.

არტელის პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს სოფლის მშრომელთა ეკონომიური ცოდნის ამაღლებას. პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით კოლმეურნეობაში დანერგილია შიდასამეურნეო ანგარიში. 1 ივლისიდან კი კოლმეურნეობა ყოველთვიურ გარანტირებულ ანაზღაურებაზე გადავიდა. სასოფლო-სამეურნეო არტელის გამგეობა, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. უტიაშვილი უდგას სათავეში, პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად ახორციელებს ბევრ პრაქტიკულ ღონისძიებას კოლმეურნეთა აქტივობისა და ინიციატივის გასაძლიერებლად. წელს კოლმეურნეობის ვენახებს გვალვა დაატყდათ. მაგრამ ჩუმლაყელმა კომუნისტებმა შეძლეს დაერაზმათ არტელის ყველა წევრი გვალვის წინააღმდეგ საბრძოლველად, და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს.

აი რას ნიშნავს პრაქტიკულად, როცა კომუნისტები წარმოების ავანგარდში არიან და უნარი შესწევთ გაუძღვნენ უპარტიო მასებს ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად, საზოგადოებრივი სიმდიდრის გასამრავლებლად.

სოფლის მეურნეობაში მოპოვებულ წარმატებებთან ერთად გვაქვს ნაკლოვანებებიც. რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არის მცირეძალოვანი და ეკონომიურად სუსტი მეურნეობები, რომლებშიც დაბალია მიწათმოქმედების კულტურა. ბევრ მეურნეობაში სუსტი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამო დაბალია შრომის დისციპლინა, არის სოციალისტური საკუთრების განიავების, საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისადმი უდარდელი დამოკიდებულების ფაქტები.

სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა, მშრომელებმა ახლავე უნდა იზრუნონ მომავალი მოსავლისათვის, მაღალ აგროტექნიკურ დონეზე დაამთავრონ საშემოდგომო ხვნა და თესვა, კარგად მოამზადონ მინდვრები და მრავალწლიანი კულტურების პლანტაციები მომავალი სეზონისათვის, სანიმუშოდ გამოაზამთრონ პირუტყვი, მყარი საფუძველი ჩაუყარონ 1967 წლის უხვ მოსავალს, ბეჯითად განახორციელონ სამელიორაციო სამუშაოთა პროგრამა.

ამხანაგებო! სკკპ XXIII ყრილობამ დიდი ყურადღება მიაქცია ყოფაცხოვრების, მომსახურების სფეროს განვითარებისა და სრულყოფის საკითხებს, ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ადამიანებისათვის ზრუნვასთან.

მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში დიდი როლი ეკუთვნის ვაჭრობას. საქართველოს რესპუბლიკაში ვაჭრობის საქმის მდგომარეობა საერთოდ ცუდი როდია. საქონელბრუნვის შვიდი თვის გეგმა შესრულებულია 100.2 პროცენტით. იზრდება თანამედროვე მაღაზიების, საზოგადოებრივი კვების საწარმოების რიცხვი, ფართოვდება კვების პროდუქტებით ვაჭრობა, ინერგება მყიდველთა მომსახურების ახალი პროგრესული ფორმები.

ამასთან ერთად ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს ბრძოლა ვაჭრობის კულტურისათვის, ხოლო კომუნისტების ნაწილი სათანადო პასუხისმგებლობას არა გრძნობს მინდობილი საქმისათვის, რასაკვირველია, არ შეიძლება ვაბიაბრუებდეთ ვაჭრობის მუშაკებს. ბოლო უნდა მოეღოს აგდებულ დამოკიდებულებას დახლის მუშაკებისადმი, იმის ცდას, რომ ხელაღებით მიაკუთვნონ ისინი თაღლითების რიცხვს. ასეთი მიდგომა მხოლოდ საზიანოა და არც შეიძლება საზიანო არ იყოს. ამავე დროს პარტიული ორგანიზაციები უფრო გადაჭრით უნდა ებრძოდნენ იმათ, ვინც არცხვენს ვაჭრობის მუშაკის სახელს, ნერგავდნენ პროფესიულ სიამაყესა და ღირსებას, ცდილობდნენ წაახალისონ ვაჭრობის საუკეთესო მუშაკები, რათა მათ მაგალითს სხვებმაც მიბაძონ.

მომსახურების სფერო გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ვაჭრობა. იგი შეიცავს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებს, კეთილი სამსახურის ბიუროებს, საპარიკმახეროებს, სამრეცხაოებს, შესაკეთებელ და სამკერვალო ატელიეებს და მრავალ სხვას. ამ სფეროს ყველა პროფესია საჭირო და მნიშვნელოვანია. როგორც ყველგან, კომუნისტები აქაც უნდა იყონ მაგალითი დანარჩენი მუშაკებისათვის, მომსახურების ახალი მეთოდებისა და ფორმების ინიციატორები, მიაღწიონ პროფესიული კვალიფიკაციის, პროფესიული ოსტატობის ამაღლებას.

არ შეიძლება არ შევეხოთ საკითხს მედიცინის მუშაკის ეთიკის შესახებ, ავადმყოფებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების აუცილებლობის შესახებ. სამწუხაროდ, ჩვენში ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი გამოძალვის, ავადმყოფთა უყურადღებო, ცუდი მომსახურების ფაქტები.

საბჭოთა საზოგადოება განსაკუთრებულ როლს ანიჭებს მასწავლებელს, ახალგაზრდობის დამრიგებელსა და აღმზრდელს. მოზარდი თაობა ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღეა, მისი მომავალია, და ამიტომ სავსებით გასაგებია რა დიდ ნდობას უცხადებენ მასწავლებელს, რა მაღალ მისიას ასრულებს იგი. მასწავლებელი ზრდის არა მარტო სიტყვით, არამედ მთელი თავისი ყოფაქცევით, რადგან მაგალითის ძალა განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდობისათვის.

საჭიროა განუწყვეტლივ ვამაღლებდეთ კომუნისტთა — ინტელიგენციის წარმომადგენელთა ავანგარდულ როლს, პირველ რიგში იმათ როლს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული მოზარდი თაობის აღზრდასთან: უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, სკოლების მასწავლებელთა, აგრეთვე პარტიის წევრთა — ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ავანგარდულ როლს.

ყველასათვის ცნობილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებული ბრძანებულება ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. ეს ღონისძიება ნაკარნახევია ცხოვრებით, აუცილებლობით. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ყველაზე მეტ ხულიგნურ საქციელს სჩადის ახალგაზრდობა, მათ შორის მოსწავლეები და სტუდენტები. ასეთი მდგომარეობა ყოვლად შეუწყნარებელია. კოლექტივმა, სადაც მუშაობს და სწავლობს ჩვენი ახალგაზრდობა, უნდა გააძლიეროს აღმზრდელობითი ზემოქმედება მასზე, შექმნას ისეთი ვითარება, რომ გამორიცხული იყოს ყოველი შესაძლებლობა იმისა, რომ ახალგაზრდობამ გამოიჩინოს უპასუხისმგებლობა, მოშვებულობა, რასაც მოსდევს ხულიგნობა და კანონის დარღვევა. უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, სკოლების კომუნისტი მასწავლებლები, პარტიული ორგანიზაციები ბრძანებულებას ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ უნდა შეხვდნენ როგორც თავიანთ ღვიძლ საქმეს.

ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი უნდა შეასრულონ მილიციის, სასამართლოს, პროკურატურის მუშაკებმა. რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა უმეტესობა წარმატებით შრომობს. შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები, თუ რა თავდადებით ასრულებენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას კომუნისტები, რომლებიც სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სადარაჯოზე დგანან. მაგალითად, ყვარლის მილიციის რაიგანყოფილების რწმუნებული კომუნისტი ვ. შაქარაშვილი მარტო შეებრძოლა შეიარაღებულ დამნაშავეს, მძიმედ დაიჭრა სამი ტყვიით, მაგრამ მაინც განაგრძო ბანდიტის დევნა. მამაცობა და შეუპოვრობა გამოიჩინა ახალციხის მილიციის რაიგანყოფილების რწმუნებულმა პარტიის წევრმა გ. კაპანაძემ, რომელმაც განაიარაღა საშიში დამნაშავე, მიუხედავად შეიარაღებული წინააღმდეგობისა.

იმისათვის, რომ ვიბრძოლოთ რაიმე ნაკლის წინააღმდეგ, ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ ამა თუ იმ შეცდომისა და ნაკლის ფესვები და მიზეზები. ამიტომ ყველა ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას, თვითეულის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა შეეძლოს უარყოფით მოვლენათა მიზეზების მონახვა და მათ წინააღმდეგ კომუნისტების, ყველა მშრომელის დარაზმვა. ყოველი ღონისძიებით უნდა გავზარდოთ პარტიული ორგანიზაციების ავანგარდული როლი მუშაობის ყველა უბანზე.

ამხანაგებო! კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლება კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა, ახალი ხუთწლედის ამოცანების წარმატებით განხორციელება მოითხოვს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო გააუმჯობესონ მთელი შინაპარტიული, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, ზუსტად დაიცვან პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წ.) პლენუმის შემდეგ პარტიული ორგანიზაციების მუშაობისათვის უაღრესად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ქვეყანაში შექმნილი შემოქმედებითი ვითარება დადებით გავლენას ახდენს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მთელ საქმიანობაზე.

პარტიული ორგანიზაციები ახლა მეტ ყურადღებას უთმობენ კომუნისტთა განაწილებას წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე კომუნისტთა რიცხვი მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში გაიზარდა 18 ათასი კაცით, სოფლის მეურნეობაში — 10 ათასზე მეტი კაცით.

სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში ფართოდ განვითარდა საზოგადოებრივი საწყისები პარტიულ მუშაობაში. შეიქმნა ბევრი ახალი ორგანიზაციული ფორმა და მეთოდი, რომლებმაც პრაქტიკაში გაამართლა თავისი დანიშნულება.

გაუმჯობესდა კადრებთან მუშაობა. ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულია ბევრი ენერგიული, იდეურად გამოწრთობილი მუშაკი, რომლებიც ძალღონის დაუზოგავად წარმატებით ხელმძღვანელობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგს. ახლა სამრეწველო საწარმოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს მეტწილად სათავეში უდგანან ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობენ მშრომელებში. ამასთანავე კადრებთან მუშაობაში ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი. არის შემთხვევები, როცა ხელმძღვანელ სამუშაოზე აწინაურებენ ისეთებს, რომლებიც ნდობის ღირსი არ არიან, წინათ სამუშაოდან მოხსნილი ან განთავისუფლებული იყვნენ სხვადასხვა დანაშაულისათვის, გატეხილი აქვთ სახელი.

კადრებთან მუშაობაში უნდა ვხელმძღვანელობდეთ პარტიის მხოლოდ ერთი ნაცადი პრინციპით — საქმიანი და პოლიტიკური თვისებების მიხედვით კადრების შერჩევის და განაწილების ლენინური პრინციპით.

განსაკუთრებული როლი მთელი ჩვენი მუშაობის გაუმჯობესებაში, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებაში ეკუთვნით პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. ისინი ჩვენი პარტიის საფუძველი, საძირკველია. იმაზე, თუ რამდენად აქტიური არიან ისინი თავიანთ მუშაობაში, თუ როგორ ასრულებს ყველა კომუნისტი წესდებით გათვალისწინებულ მოვალეობებს, დამოკიდებულია პარტიული ორგანიზაციების გავლენა მასებზე. დამოკიდებულია ყოველი საქმის წარმატება, პარტიული ხელმძღვანელობის ეფექტიანობა რაიონში, ქალაქში, რესპუბლიკაში.

თუ რა პრაქტიკულ შედეგებს შეიძლება მივაღწიოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესების გზით, კარგად ჩანს კასპის ცემენტის ქარხნის მაგალითით. ამ ქარხნის კოლექტივის ყოველი მეოთხე მუშაკი კომუნისტია. ქარხანა წლითიწლობით აუმჯობესებს თავის საწარმოო მაჩვენებლებს, ზრდის ცემენტის გამოშვებას. ქარხნის პარტიული ორგანიზაცია (პარტკომის მდივანი ამხ. ალიბეგაშვილი) ზრუნავს იმისათვის, რომ კარგად გაანაწილოს კომუნისტები წარმოების პასუხსაგებ უბნებზე, სისტემატურად უწევს კონტროლს მათს მუშაობას, დაუცხრომლად იბრძვის შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, სახელმწიფო სახსრების ყაირათიანად ხარჯვისათვის.

ასეთი მაგალითი ბევრი გვაქვს. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები მოწოდებული არიან ყოველი ღონისძიებით გაავრცელონ საუკეთესო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება, დაეხმარონ ყველა პარტორგანიზაციას პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლებაში. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ პარტიის გავლენას გრძნობდეს თვითეული მშრომელი, რომ კოლექტივის თვითეული წევრი მთელ თავის ძალღონესა და ცოდნას ახმარდეს საერთო საქმეს.

უნდა ავამაღლოთ პარტიული მასების აქტივობა, გავზარდოთ მათი ავანგარდული როლი. ამისათვის კი პარტიულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო უნდა განავითარონ შინაპარტიული დემოკრატია. ყველგან უნდა უზრუნველვყოთ კრებების, პარტიული ბიუროების სხდომების, პარტიული კომიტეტების პლენუმების რეგულარულად ჩატარება. თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში უნდა ზრუნავდნენ ისეთი პირობების შექმნისათვის, როცა კომუნისტები შეძლებენ განახორციელონ წესდებით მინიჭებული უფლებები, მათ შორის პიროვნების მიუხედავად ყოველი მუშაკის გაკრიტიკების უფლება. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საჭიროა განვასხვავებდეთ კრიტიკას დემაგოგიისაგან და, მით უმეტეს, ცილისწამებისაგან, ვინაიდან დემაგოგიასა და ცილისწამებას არასოდეს არ მოუტანია სარგებლობა და ვერც მოიტანს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წარმოებაში და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლება მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული კომუნისტური შეგნების, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცებასთან, კომუნიზმის მშენებლის მორალური სახის შემდგომ სრულყოფასთან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პარტიული ორგანიზაციები მხედველობის არიდან ერთი წუთითაც არ უნდა უშვებდნენ ისეთ საკითხებს, როგორიც არის ბრძოლა კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ, თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობის ამაღლება საკუთარი ქცევისათვის ყოფაცხოვრებაში, ოჯახში, თავისი ბავშვების აღზრდისათვის, იმისათვის, რომ ოჯახის ყველა წევრი მონაწილეობდეს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, მოჰქონდეს სარგებლობა საზოგადოებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდას, ხალხთა ლენინური მეგობრობის ყველა ღონისძიებით განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას.

დღევანდელი დღის გაზრდილი ამოცანები ყველა კომუნისტს ავალებენ საფუძვლიანად შეითვისონ და სრულად გამოიყენონ მუშაობის ის ნამდვილად რეალისტური ლენინური სტილი და მეთოდები, რომლებიც დამკვიდრდა პარტიის მთელ ცხოვრებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ და რომლებიც გაცხადყო პარტიის XXIII ყრილობამ.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადება დიდი ოქტომბრის ორმოცდაათი წლისთავისა და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ასი წლისთავისათვის. საქართველოს მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ყველა მშრომელნი აპირებენ აღნიშნონ ეს დიადი თარიღები ახალი შრომითი გამარჯვებებით მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და კულტურაში.

ჩვენს ურყევ რწმენას, რომ წარმატებას მოვიპოვებთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე, საფუძვლად უდევს ის, რომ საბჭოთა ხალხს სათავეში უდგას ნაცადი მესაჭე — კომუნისტური პარტია და მისი მებრძოლი კოლექტიური შტაბი — ცენტრალური კომიტეტი, ის, რომ ყველა კომუნისტს აქვს ნათელი მიზანი, რომელიც განსაზღვრა პარტიის გენერალურმა ხაზმა, იცის, თუ რა საშუალებებით უნდა მიაღწიოს ამ დიად და კეთილშობილურ მიზანს. ყველა საფუძველი გვაქვს დარწმუნებული ვიყოთ, რომ საქართველოს 260-ათასიანი პარტიული ორგანიზაცია უნარიანად ჩაუდგება სათავეში რესპუბლიკის მშრომელთა შრომითს და პოლიტიკურ აღმავლობას, განუწყვეტლივ აამაღლებს კომუნისტთა ავანგარდულ როლს, არ დაიშურებს ძალღონეს იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულოს დიდი და პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავამაღლოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი!

## კამათი ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო

ბევრი კარგი რამ არის ნათქვამი მოხსენებაში თბილელი კომუნისტების შესახებ, თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ლოლაშვილმა.** მართლაც, რესპუბლიკის დედაქალაქში ასობით და ათასობით კომუნისტი ნამდვილად ავანგარდულ როლს ასრულებს, თავისი თავდადებული შრომით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით, ოჯახისადმი კომუნისტური დამოკიდებულებით ამხანაგების სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. ასეთი ადამიანები არიან ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. მათ ყველამ უნდა მიბაძოს. მაშასადამე, ამ მხრივ სისტემატურად, მიზანდასახულად და ბეჯითად უნდა ვიმუშაოთ.

ჩვენს საწარმოებში ახლა დიდი მოსამზადებელი მუშაობა წარმოებს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასასვლელად. ამასთან დაკავშირებით განუზომლად იზრდება კოლექტივის, მისი მოწინავე ნაწილის — კომუნისტების როლი საწარმოო ამოცანათა გადაწყვეტაში, მეურნეობის ყაირათიანად გაძღოლაში, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში. მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ ჯერ კიდევ ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ როდი გაშალა ქმედითი ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა ამ სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიების განხორციელებისათვის. ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია წარმოების მეთაურებისა და მუშების ეკონომიური სწავლების ორგანიზაციაში, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვაში, მუშაობის მოწინავე მეთოდების პროპაგანდასა და გავრცელებაში.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან თვითეულ კომუნისტს ჩაუნერგონ თავისი პარტიული მოვალეობის მაღალი შეგნება, პასუხისმგებლობა არა მარტო თავის მინდობილ უბანზე, არამედ მთელ კოლექტივის საქმის ვითარებისათვის, ყოველნაირად განავითარონ კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა **ქ. გუ[illegible]ლმა** თავისი სიტყვა მთლიანად მიუძღვნა რესპუბლიკის ამ უდიდეს საწარმოში კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლების საკითხებს.

ქარხნის კომუნისტთა დიდი უმრავლესობა უშუალოდ მონაწილეობს მატერიალური წარმოების სფეროში. მათი დამოკიდებულება შრომისადმი, ურთიერთდახმარება და შემოქმედებითი თანამეგობრობა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იყო იმისა, რომ მიმდინარე წლის [illegible] თვის გეგმა 102,9 პროცენტით შესრულდა. აშენდა [illegible]ღერძიანი ელმავლების ვლ-40 და ვლ-83-001 საცდელი მოდელები. ახლა წარმოებს მათი დახვეწა.

საწარმოში კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებას ხელი შეუწყო კომუნისტების სწორმა განაწილებამ საწარმოო უბნებში. ამან საშუალება მოგვცა აღმოგვეფხვრა ნაკლოვანებანი, დაგვერაზმა მშრომელები საწარმოო დავალებათა შესასრულებლად. მაგალითად, სა[illegible]თო საამქრო, უფრო ადრე კი სამჭედლო საამქროც ჩამორჩენილები იყვნენ. ამ საამქროთა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის შემდეგ ისინი ჩამორჩენილთა რიგებიდან გამოვიდნენ და შესაბამისად ამაღლდა მთელი ქარხნის მუშაობის დონეც.

საწარმოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრდა მუშაობის ისეთი ფორმა, როგორიც არის კომუნისტთა ანგარიშგება პარტიულ კრებებზე, პარტიული კომიტეტების სხდომებზე. კომუნისტები აქ მოახსენებენ, თუ როგორ ასრულებენ პარტიის წესდების მოთხოვნებს, თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას და …

კომუნისტთა ინიციატივა, მათი პირადი მაგალითის ძალა დიდ გავლენას ახდენს კოლექტივის წარმატებებზე. კომუნისტები არიან ბევრი სასარგებლო საქმის თაოსნები ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, თქვა თავის გამოსვლაში ამ საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა **ო. ბუხნიკაშვილმა.**

პარტიული კომიტეტი, საამქროების და უბნების პირველადი პარტიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას …ობენ ბრძოლას პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის, ნედლეულისა და დამხმარე მასალების გონივრულად ხარჯვისათვის. იანვარში საერთო კრებაზე პირველი საამქროს კომუნისტებმა კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და მოუწოდეს ქარხნის ყველა პარტიულ ორგანიზაციას მიებაძათ მათი მაგალითისათვის. მათს თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურნენ. მიღწეულია პირველი წარმატებანი: საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის საწარმოებიდან, სადაც ქარხნის პროდუქცია იგზავნება, არც ერთი რეკლამაცია ან შენიშვნა არ მოსულა.

კომუნისტების მუდმივი საზრუნავია ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და ეგრეთწოდებული „ვიწრო ადგილების" ლიკვიდაცია. ქარხნის 340 რაციონალიზატორიდან 70 პროცენტი კომუნისტები არიან, რაციონალიზატორთა მიერ შემოტანილი 106 წინადადებიდან 39 უკვე დანერგილია. ეს წინადადებანი დიდ ეკონომიურ ეფექტს იძლევიან. საწარმოო პროცესების სრულყოფის სამუშაოები წარმატებით გრძელდება.

აფხაზეთის მშრომელებმა, აღნიშნა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. კობახიამ,** ახალი ხუთწლედი დაიწყეს დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია პარტიის XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. გადაჭარბებით — …1 პროცენტით შესრულდა სამრეწველო პროდუქციის წარმოების რვა თვის გეგმა. გეგმის გადაჭარბებით ამოღებულია ათიათასობით ტონა ქვანახშირი, გამომუშავებულია 25 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 1.000 ტონაზე მეტი პირველადი დამუშავების ჩაი და სხვა პროდუქცია.

კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა მასობრივი შრომითი აქტივობის ნიშნით მიმდინარეობს ახლანდელი სასოფლო-სამეურნეო წელი. აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ჯერ კიდევ 16 აგვისტოს შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა და თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს მეჩაიეთა წარმატებაში. მათ სამშობლოს მისცეს ორი ათას ტონაზე მეტი ზეგეგმითი … სოციალისტურ ვალდებულებათა ანგარიშში.

ეს წარმატებანი ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების უნარიანი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შედეგია. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაცია მთელ შინაპარტიულ მუშაობას წარმართავს პარტიის წევრებისა და კანდიდატების ავანგარდული როლის შემდგომი ამაღლებისათვის. ყველა კომუნისტისაგან მოითხოვს მისაბაძი … სოციალისტური ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების, მშრომელთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საქმეში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად თავისი როლის ამაღლებაში ჯერ კიდევ ჩამორჩება დღევანდელობის მოთხოვნებს. ამას მოწმობს, მაგალითად, ის გარემოება, რომ ავტონომიური რესპუბლიკის 116 საწარმოდან 23 კოლექტივმა ვერ შეასრულა რვა თვის საწარმოო გეგმა. აფხაზეთის კოლმეურნეობათა დაახლოებით მეშვიდედი ჯერ კიდევ სუსტია, ჩამორჩება ორგანიზაციულ-სამეურნეო თვალსაზრისით.

საგარეჯოს რაიონის მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა **ვ. ბაზერაშვილმა** ილაპარაკა ამ მეურნეობის მშრომელთა წარმატებებზე. მაგალითად, შარშან აქ საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 64 ცენტნერი ყურძენი, ანუ გეგმით გათვალისწინებულზე 15 ცენტნერით მეტი.

წარმატებათა მიღწევაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ კომუნისტები. მეურნეობაში კი ასზე მეტი კომუნისტია. ბევრი კომუნისტი ოჯახის წევრებთან ერთად მთელი წლის განმავლობაში უვლის ვენახებს, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ უხვი და სტაბილური მოსავალი მოიყვანოს.

საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია თავის მუშაობაში მთავარ ყურადღებას უთმობს კომუნისტთა სწორ განაწილებას გადამწყვეტ უბნებზე, იქ, სადაც უშუალოდ წყდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ბედი. 24-დან 16 ბრიგადას ხელმძღვანელობენ კომუნისტები, რომელთა შორის ბევრი ახალგაზრდა სპეციალისტია. შარშან მეურნეობაში 8 საუბნო პარტიული ორგანიზაცია შეიქმნა.

ჩვენი საწარმოს კომუნისტთა ავანგარდული როლი, თქვა თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისის" მქრავმოტორისტმა **ნ. პანკოვამ,** უწინარეს ყოვლისა ვლინდება თავდადებული შრომით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით. პარტბიურო და საამქრო პარტორგანიზაციები სისტემატურად მუშაობენ კადრების აღზრდისა და სწორად განაწილებისათვის, მუდამ მჭიდრო კონტაქტი აქვთ ფაბრიკის დირექციასთან.

ფაბრიკა 10 წლის განმავლობაში სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს. მაგრამ წელს, განაგრძო ორატორმა, ვერაფერს დავიკვეხნით. რა მოხდა? სამწუხაროდ, ჩამორჩენის მიზეზები კოლექტივზე არ არის დამოკიდებული. გეგმა გაგვიდიდეს, ნედლეულით კი ვერ უზრუნველგვყვეს. ამის შედეგად ფაბრიკას ხანგრძლივი გაცდენები ჰქონდა. სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო ასი წინდის მრავალსაქსოვი ავტომატიდან 45 ცდება.

ამჟამად, თქვა ორატორმა, ვემზადებით დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი მეთოდის დანერგვისათვის. ამ დიდ მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტები. საამქროთა პარტიული ორგანიზაციების კრებებზე წამოყენებულია მნიშვნელოვანი წინადადებანი, რომელთა მიზანია მოწყობილობის უკეთ გამოყენება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და სხვ.

კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლების საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობაში, თქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **ი. ვეკუამ.** უნივერსიტეტის მაგალითი მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ რა ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან კომუნისტები სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და სტუდენტთა შორის პოლიტ-მასობრივი და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გასაჩაღებლად, იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც უმაღლეს სკოლას დაუსახა პარტიის XXIII ყრილობამ. ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში, თქვა ორატორმა, არ არის ისეთი რგოლი, სასწავლო იქნება თუ სამეცნიერო, კომკავშირული თუ პროფკავშირული, რომელშიც კომუნისტები აქტიურად არ მონაწილეობდნენ. საგრძნობლად უკეთ სწავლობენ სტუდენტები, მეტ დაინტერესებას იჩენენ როგორც სწავლაში, ისე მეცნიერულ-კვლევით მუშაობაში. მაგალითად, სტუდენტთა წლევანდელ სამეცნიერო კონფერენციაზე 50-ზე მეტი მოხსენება წაიკითხეს.

წლევანდელ ზაფხულში უნივერსიტეტის სამასზე მეტი სტუდენტი იყო ჩრდილოეთ ყაზახეთში. ყამირზე სტუდენტთა რაზმებში შეიქმნა როგორც პარტიული, ისე კომკავშირული ორგანიზაციები. პარტიის ორმოცი წევრი და კანდიდატი, რომლებიც ამ რაზმების შემადგენლობაში შედიოდნენ, მეთაურობდა ახალგაზრდობას დიდ საქმეებში.

საკითხს, რომელიც შემოტანილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის განსახილველად, დიდი მნიშვნელობა აქვს, — განაცხადა თავის გამოსვლაში ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის მნგრეველთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა **ნ. თევდორაძემ.** მან ერთხელ კიდევ მისცა კომუნისტებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უპირველესი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლის გეზი.

ორატორმა აღნიშნა, რომ ტყიბულელი კომუნისტები მეშახტეთა შემოქმედებითი შრომის ავანგარდში არიან. საკმარისია ითქვას, რომ ტყიბულის ქვანახშირის საბადოს დამუშავების მთელი ისტორიის მანძილზე პირველად „დასავლეთის" შახტის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

ჩვენი უბნის ყველა კომუნისტი გადაჭარბებით ასრულებს ქვანახშირის ამოღების ნორმებს. ისინი ასევე სამაგალითონი არიან პირად ცხოვრებაშიც. ბრიგადამ ვალდებულება იკისრა ღირსეულად შეხვდეს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავსა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. კომუნისტებმა კარგად იციან, რომ თანამედროვე ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და წარმოების რენტაბელობას. სწორედ ამ მიმართულებით მუშაობენ ამჟამად, ეძებენ ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების გზებს.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქიმიური ინდუსტრიის შემდგომ განვითარებას. ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართულებით: გაჩნდა ახალი დიდი საწარმოები, ისეთები, როგორიც არის რუსთავის ქიმიური კომბინატი, რომელიც აერთიანებს რამდენიმე მძლავრ ქარხანას, შენდება დიდი ქიმიის ახალი ობიექტები და ფართოვდება არსებული ობიექტები. მაგრამ რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მუშაობა ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ამ დარგის საწარმოები წლითიწლობით ვერ ასრულებენ სახელმწიფო გეგმებს. მიმდინარე წლის რვა თვეში 18 საწარმოდან გეგმა ვერ შეასრულა ოთხმა. სახელმწიფოს დააკლდა ათასობით ტონა ქიმიური ბოჭკო, ამიაკი, კაპროლაქტამი და სხვა პროდუქცია.

კარგად ვერ არის საქმე მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, რომლებიც მოწოდებული არიან სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების განუხრელ ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ აუმჯობესონ მისი ხარისხი. მაგრამ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამ დარგის მუშაობა ჯერ ვერ აკმაყოფილებს იმ მაღალ მოთხოვნებს, რომლებსაც მას მომხმარებლები უყენებენ. საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო სჯერდება მთლიანად გეგმების შესრულებას და არ იჩენს საკმაო აქტივობასა და სიბეჯითეს ჩამორჩენილ საწარმოთა მუშაობის გასაუმჯობესებლად, პროდუქციის ასორტიმენტის გასაფართოებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსმა **ე. სანაძემ** და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა **ვ. სორდიამ** სავსებით აღიარეს სამართლიანი კრიტიკა, რომელსაც შეიცავდა ამხ. მჟავანაძის მოხსენება, და ილაპარაკეს იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც სამმართველო და სამინისტრო ახორციელებენ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ჭეშმარიტად გრანდიოზული სამუშაოები ჩაღდება ენგურჰესის მშენებლობაზე, რომელიც წარმოადგენს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა რთულ კომპლექსს. აქ შენდება უნიკალური თაღოვანი კაშხალი, დიდი დიამეტრის გვირაბები, რომელთა სიგრძე 24 კილომეტრს აღწევს. უჩვეულოა აქ თვით ჰიდროსადგურის შენობაც, რომელიც მდებარეობს მიწის ქვეშ 130 მეტრ სიღრმეზე. სამუშაოთა მოცულობა ენგურჰესის მშენებლობაზე წლითიწლობით იზრდება, რაც მოითხოვს დამპროექტებელთა და მშენებელთა ძალების დიდ დაძაბვას, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიურ ყურადღებას.

მშენებლობაზე მუშაობს დიდი და შეთანხმებული კოლექტივი, რომელიც კარგ მაჩვენებლებს აღწევს პასუხსაგები და საპატიო ამოცანის შესრულებაში — კავკასიის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის აგებაში. ენგურჰესის მშენებლებმა უკანასკნელ ორ წელიწადში დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები.

ამასთან ერთად, — თქვა ენგურჰესის მშენებლობის პარტკომის მდივანმა **ა. მეუნარგიამ,** — მშენებლობის კოლექტივმა, მისმა პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ, რომ ენგურჰესი გადააქციონ სანიმუშო მშენებლობად, უზრუნველყონ მთელი სამშენებლო სამუშაოების მაღალხარისხოვნად და დროზე შესრულება.

ახორციელებენ რა სკკპ XXIII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, — აღნიშნა თავის გამოსვლაში საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა **ლ. უკლებამ,** — ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ამ ბოლო დროს მეტ ყურადღებას აქცევენ კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებას. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ახორციელებენ ბევრ ღონისძიებას კომუნისტთა ინიციატივისა და შემოქმედების განვითარებისათვის. ამ მიზნით უმჯობესდება პარტიული მუშაობის ფორმები და მეთოდები. პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და ბიუროების სხდომებზე უფრო ხშირად არჩევენ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების საქმიანობის საკითხებს. ყოველ ღონეს ვხმარობთ მათი მუშაობის აქტივიზაციისა და როლის ამაღლებისათვის სამეურნეო და პარტიულ ცხოვრებაში.

აჭარის მშრომელები თავდადებით იბრძვიან ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. განსაკუთრებით გვახარებს მეჩაიეთა წარმატებანი: მათ უკვე წელს მიაღწიეს ხუთწლედის მიჯნას. ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე აჭარაში შეადგინა 5.550 კილოგრამი, ხოლო ქობულეთის რაიონში — 5.760 კილოგრამი. წარმატებით სრულდება აგრეთვე სახელმწიფოსათვის ხილის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმები. ამაშიც დიდია კომუნისტთა დამსახურება.

აჭარის მშრომელთა მიერ მიღწეული წარმატებები კომუნისტებს თვითდამშვიდების უფლებას როდი აძლევს. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ღირსეული წვლილი შეიტანონ დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანების შესრულებაში.

კომუნისტთა ავანგარდული როლის შემდგომი ამაღლების, სკკპ XXIII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში მათი მონაწილეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს შეეხნენ თავიანთ სიტყვებში პარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი **ვ. დურგარიანი,** ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი **ნ. შონია,** წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი **ა. გონაშვილი,** დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი **ა. შადური.** მათ მოიყვანეს კომუნისტთა ავანგარდული როლის მაგალითები, ილაპარაკეს პარტიის საუკეთესო პირველადი ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებაზე, ანალიზი გაუკეთეს ნაკლოვანებათა მიზეზებს.

პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში მეცნიერების დიდ როლს შეეხო თავის გამოსვლაში ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი **თ. დავითაია.**

სართიჭალის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ამ უკანასკნელ წლებში გარკვეული წარმატებები მოიპოვა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებაში, — თქვა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა **ა. დემეტრაძემ.** ეს ძირითადად განპირობებულია მეურნეობაში კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებით. საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია აერთიანებს 143 კომუნისტს.

საბჭოთა მეურნეობამ შარშან გადაჭარბებით შეასრულა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმები. თუ წინა წლებში საბჭოთა მეურნეობას ზარალი მოსდიოდა, შარშან მან პირველად თავისი არსებობის განმავლობაში მოგვცა 30 ათასი მანეთი მოგება.

ახლა საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ გაჩაღდა ბრძოლა სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის. მიუხედავად მიმდინარე წლის ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი და პირველ რიგში კომუნისტები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ პირნათლად შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი და მიმდინარე წელი კვლავ მოგებით დაამთავრონ.

ვაჭრობა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი დარგია, იგი უშუალოდ დაკავშირებულია არა მარტო წარმოებასთან და მოხმარებასთან, არამედ აგრეთვე ფულის მიმოქცევასთან და სახელმწიფო ბიუჯეტთან, თქვა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრმა **ვ. თოხაძემ.** ცნობილია, რომ ვაჭრობის ძირითადი ამოცანაა მიაწოდოს საქონელი წარმოებიდან მომხმარებელს. ეს კი ავალებს დახლის მუშაკებს გულდასმით გაითვალისწინონ მოთხოვნა, შეუკვეთონ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისი საქონელი. ამ მხრივ რესპუბლიკის ვაჭრობის მუშაკებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ამ ბოლო დროს გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

მიმდინარეობს მუშაობა კადრების თვისებრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლადაც, სავაჭრო ქსელი თანდათანობით თავისუფლდება იმ პირებისაგან, რომლებიც ნდობის ღირსი არ არიან.

მაგრამ, თქვა შემდეგ ორატორმა, კადრებთან მუშაობას, როგორც ამხ. მჟავანაძის მოხსენებაში აღინიშნა, ჯერ კიდევ ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებები, ვაჭრობის სისტემაში ჯერ კიდევ ბევრია სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და განიავების ფაქტები. ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ კომუნისტებმა.

გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯის კოლმეურნემ **ც. ყოლბაიამ** პლენუმის მონაწილეებს უამბო იმ მეურნეობის წარმატებათა შესახებ, რომელშიც იგი შრომობს, იმის შესახებ, თუ რა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა პარტიის გადაწყვეტილებებმა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაზე.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა წარმატებით შესრულდა. ახლა ფოთოლს კრეფენ ნაკისრი გადიდებული ვალდებულების ანგარიშში. კარგად იშრომეს არტელის მესიმინდეებმა და მეცხოველეებმა. კოლმეურნეობამ შეასრულა წველადობის ცხრა თვის გეგმა.

თვით ც. ყოლბაიამ მისთვის მიჩენილ 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 12.080 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 1080 კილოგრამით მეტია, ვიდრე გათვალისწინებული იყო ვალდებულებით. მან გადაწყვიტა სეზონის ბოლომდე მოკრიფოს კიდევ 500 კილოგრამი ფოთოლი.

საკოლმეურნეო სიუხვის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს არტელის პარტიულ ორგანიზაციას. სწორედ კომუნისტები არიან მეურნეობის გაძღოლის ახალი, პროგრესული მეთოდების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის ინიციატორები. ისინი შრომობენ საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, მეთაურობენ ბრიგადებს, რგოლებს, გვიჩვენებენ პირად მაგალითს შრომაში.

★ ★

**საბოლოო** სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.** მან აღნიშნა, რომ კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ღრმად და ყოველმხრივ განიხილეს მოხსენება, ბევრი მათგანი გამოვიდა საქმიანად, საფუძვლიანად.

სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ, თქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, ნახევარ წელსაც არ გაუვლია, მთელ ჩვენს ქვეყანაში კი უკვე გაიშალა გიგანტური მუშაობა ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ახალი ხუთწლედის დიდებული გეგმების შესრულებისათვის. სათავეში ჩავუდგეთ ამ შრომითს აღმავლობას, გავუძღვეთ მშრომელთა მასებს — ეს არის კომუნისტთა ავანგარდული როლი, პარტიული ორგანიზაციების მაორგანიზებელი როლი.

საკითხი კომუნისტთა ავანგარდული როლის შესახებ გადაწყვეტილია განხილულ იქნას ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ მივაქციოთ პარტიული ორგანიზაციების ყურადღება იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველმხრივ ავამაღლოთ თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, თავისი პარტიული ორგანიზაციისა და საერთოდ პარტიის საქმისათვის, ჩავუნერგოთ პარტიის წევრებს მაღალი მოვალეობის გრძნობა, იმის შეგნება, რომ პარტია, ანდობს რა კომუნისტს მუშაობის ამა თუ იმ უბანს, ამით გამოხატავს მისდამი დიდ ნდობას, რომელიც კომუნისტმა უნდა გაამართლოს მთელი თავისი საქმიანობით, მთელი თავისი ცხოვრებით.

რით გამოიხატება პარტიის წევრთა ავანგარდული როლი, როგორი თვისებები უნდა ჰქონდეს კომუნისტს იმისათვის, რომ შეასრულოს ეს როლი, იმისათვის, რომ მშრომელთა ავანგარდში იდგეს, გაუძღვეს მასებს.

უწინარეს ყოვლისა კომუნისტი უნდა იძლეოდეს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითს, რადგან სწორედ შრომაში უწინარეს ყოვლისა ვლინდება პარტიის წევრის ავანგარდული როლი. კომუნისტი — ეს არის ადამიანი, რომელიც ყოველი საქმისათვის იბრძვის მხურვალედ, ხალისით, სულითა და გულით, ცდილობს ეს საქმე შეასრულოს რაც შეიძლება უკეთ, მოახმაროს მას მთელი თავისი ძალა, ცოდნა, ენერგია.

კომუნისტი — ეს არის ღრმად იდეური, პარტიის საქმისადმი, ხალხის საქმისადმი, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებისადმი ბოლომდე ერთგული ადამიანი. მისთვის დამახასიათებელია ღრმა იდეური რწმენა — პარტიის წევრის ყველაზე ძვირფასი თვისება. კომუნისტს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ კომუნისტური იდეები უნდა განამტკიცოს კომუნისტური საქმეებით.

კომუნისტი შეურიგებელი უნდა იყოს ნაკლოვანებებისადმი, ყოველ საქმეში იჩენდეს კომუნისტურ პრინციპულობას, თანმიმდევრულად და ბოლომდე იცავდეს ყოველ საქმეში პარტიულ თვალსაზრისს, გულისხმიერად ეკიდებოდეს კრიტიკულ შენიშვნებს და ახორციელებდეს გადამჭრელ ღონისძიებებს ყოველგვარი ნაკლის აღმოსაფხვრელად.

კომუნისტი უნდა ებრძოდეს ადამიანთა ისეთ თვისებებს, როგორიც არის ყოყოჩობა, თავგასულობა, ზერელობა, პარადული ხმაური. კომუნისტს არ შეჰფერის მოდუნებულობა, თავშეუკავებლობა, უხეშობა ადამიანებთან ურთიერთობაში.

ჩვენ ჯერ კიდევ გვყავს ისეთი ხელმძღვანელი ამხანაგები, რომლებიც აგდებულად, ქედმაღლურად ელაპარაკებიან ზოგჯერ კიდევაც უყვირიან ადამიანებს, იმიზეზებენ, „ნერვებმა გვიმტყუნაო". არ შეიძლება გავამართლოთ ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის ასეთი უღირსი საქციელი. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ თავშეკავება კომუნისტთა დამახასიათებელი თვისება უნდა იყოს.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, თქვა შემდეგ ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ, შეუძლია იამაყოს, რომ გამოზარდა შესანიშნავი ნოვატორი მუშები, სოფლის მეურნეობის მოწინავენი, წარმოების მეთაურები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები. ეს ადამიანები ღირსეულად ასრულებენ მინდობილ საქმეს, მუდამ ახსოვთ, რომ ისინი უწინარეს ყოვლისა პარტიის წევრები არიან, რომ პარტიამ და ხალხმა მიანდეს მათ სოციალისტური წარმოების პასუხსაგები უბნები და რომ კომუნისტებმა ღირსეულად უნდა გაამართლონ ეს დიდი ნდობა.

კარგად მოიქცნენ კამათის მონაწილენი, როდესაც ყურადღება მიაქციეს უმთავრესად ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს. ეს დაგვეხმარება იმაში, რომ დავსახოთ უფრო ეფექტიანი ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ეს იმის საწინდარია, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები დაძლევენ ყოველ ამოცანას, რა ძნელიც უნდა იყოს ის.

როგორია ახლა ეს ამოცანები?

მრეწველობის დარგში მომუშავე კომუნისტებმა უწინარეს ყოვლისა უნდა ითავონ ბრძოლა, რათა საწარმოებმა, რომლებიც საწარმოო გეგმებს ვერ ასრულებენ, თავი დააღწიონ ჩამორჩენას.

ამიერიდან აღარ შეიძლება შევურიგდეთ ისეთ მდგომარეობას, რომელზეც ლაპარაკი იყო მოხსენებასა და სხვა ორატორთა სიტყვებში, რომ მიმდინარე წლის რვა თვეში 238 საწარმომ, ანუ რესპუბლიკის ყველა საწარმოს 21 პროცენტმა ვერ შეასრულა სახელმწიფო გეგმა და 25 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლო სახელმწიფოს.

ისმის კითხვა: რა ავანგარდულ როლს ასრულებენ ამ საწარმოებში კომუნისტები? რით გამოიხატება პარტიული ორგანიზაციების მაორგანიზებელი როლი, თუ მათ ვერ შეძლეს საწარმოო კოლექტივების დარაზმვა სახელმწიფო დავალებათა შესასრულებლად?

იგივე უნდა ითქვას ზოგიერთ სოფლის კომუნისტზე, იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებზე, რომლებიც ჩამორჩებიან, აფერხებენ ჩვენი სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო ინტენსიურ განვითარებას.

(დასასრული მე-4 გვ.)

# ავამაღლოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი!

(დასასრული)

[illegible]

[illegible]

ლებთან, პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად სათანადო დასკვნები გამოიტანონ.

სახელმწიფო დაწესებულებათა, სამინისტროთა და უწყებათა პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ოპერატიულად გადაჭრან პრაქტიკული საკითხები, მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოაწყონ შრომის ზუსტი ორგანიზაცია, უზრუნველყონ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა განხორციელება, იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობენ საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის, მათი ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას, კულტურის განვითარებას.

კომუნისტთა ავანგარდული როლი არ უნდა შეიზღუდოს წარმოების ფარგლებით. ახლა, როცა პარტიამ დასახა ამოცანები მომავლის ადამიანის აღზრდისა, რომელშიც შერწყმული იქნება სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა, კომუნისტი ვალდებულია მთელი თავისი მოქმედებით არა მარტო წარმოებაში, არამედ საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაშიც, უჩვენებდეს კომუნისტური ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის მაგალითს, იცავდეს კომუნისტური მორალის პრინციპებსა და ნორმებს.

თავის სიტყვაში ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, შიდაპარტიული დემოკრატიის კიდევ უფრო ფართოდ გაშლის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საკითხებს.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული მუშაობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ ვიბრძოლოთ სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის პრინციპების დანერგვისათვის, დაგეგმვისა და წარმოების [illegible] ლირების ახალი მეთოდების განხორციელებისათვის, რომლებიც შემუშავებულ[illegible] მარტის, სექტემბრისა და მაისის პლენუმების მიერ.

ამ ამოცანის განხორციელებისათვის საჭიროა გავაძლიეროთ მუშაობა კომუნისტთა იდეური რწმენის განმტკიცებისათვის, მუდმივი ყურადღება დავუთმოთ კადრების შერჩევის, დაწინაურებისა და აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას, ბეჯითად და თანმიმდევრულად განვამტკიცოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა და ყოველთვის გვახსოვდეს, რომ პარტია მიუძღვება მასებს, რაზმავს მათ კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამის შესრულებისათვის და სწორედ ძირეული უჯრედების საშუალებით ახორციელებს თავის პოლიტიკას.

დასასრულ ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ თქვა:

— კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი 50 წლისთავისა და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელთ გადაწყვეტილი აქვთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღებს შეხვდნენ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და კულტურაში მოპოვებული ახალი შრომითი წარმატებებით.

მინდა ჩემი გამოსვლა დავამთავრო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიტყვებით იმის შესახებ, რომ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა უნდა ავწიოთ სულ უფრო მაღლა, მაღლა და მაღლა.

• • •

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება.

# საზღვარგარეთ

## გენერალური ასამბლეის სესიაზე



**ნიუ-იორკი,** 22 სექტემბერი. (საქდესი). მუშაობას განაგრძობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXI სესია. გუშინდელ სხდომაზე დელეგატებმა აირჩიეს ასამბლეის თავმჯდომარის 17 მოადგილე, დამთავრდა ასამბლეის გენერალური კომიტეტის შემადგენლობის არჩევა.

ასამბლეის გუშინდელ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ფილიპინების პრეზიდენტმა მარკოსმა, რომელიც ძირითადად შეეხო აზიის პრობლემებს. დილით შეიკრიბა ასამბლეის გენერალური კომიტეტი, რომელმაც განიხილა სესიის დღის წესრიგი და ორგანიზაციის საკითხები.

კომიტეტმა, კერძოდ, მისცა რეკომენდაცია, რომ დღის წესრიგში შეიტანონ ბელორუსიის სსრ, ბულგარეთის, უნგრეთის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ჩეხოსლოვაკიის მთავრობათა წინადადებით წამოყენებული პუნქტი, რომ გაიყვანონ ამერიკისა და საზღვარგარეთის სხვა სახელმწიფოთა მთელი ის ჯარები, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით ოკუპირებული ჰყავთ სამხრეთ კორეა და დაშალონ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის გაერთიანებისა და აღდგენის კომისია". კომიტეტმა მისცა რეკომენდაცია აგრეთვე, რომ დღის წესრიგში შეიტანონ საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების შესახებ.

დღეს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე დაიწყება საერთო დისკუსია.

## პრეზიდენტ ჯონსონის პრეს-კონფერენცია

**ვაშინგტონი,** 21 სექტემბერი. (საქდესი). პრეზიდენტმა ჯონსონმა დღეს პრესკონფერენციაზე განაცხადა, იმედი მაქვს, რომ შეთანხმებას მშვიდობიანი მიზნით კოსმოსის გამოყენების შესახებ მივაღწევთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიმდინარე სესიაზე.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა პრეზიდენტს უთხრა, ამერიკის საზოგადოებრიობა შეშფოთებულია იმის გამო, რომ შესაძლოა დასავლეთმა გერმანიამ ხელთ იგდოს ატომური იარაღი ჯონსონისა და კანცლერ ერჰარდის მომავალი მოლაპარაკების შედეგად. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ შეშფოთებას არ იზიარებს. კანცლერ ერჰარდთან ერთად დაწვრილებით განვიხილავთ ორივე ქვეყნის პრობლემებს, თქვა მან, მაგრამ არა მგონია, რომ ასეთი შეთანხმება მოსალოდნელი იყოს.

პრეზიდენტმა ჯონსონმა უარი თქვა შეეფასებინა ვიეტნამის ომის მსვლელობა, აგრეთვე დაესახელებინა ამ ომისათვის ამერიკის მთავრობის ხარჯების ზუსტი ციფრები. მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ ომის წარმოების „გარკვეული გეგმები", მაგრამ მათ შინაარსზე არაფერი უთქვამს. მან დასძინა, ვერ ვიტყვი ეს გეგმები როდის განხორციელდებაო. ჯონსონმა თქვა, ვიეტნამის ომი გაგრძელდება, სანამ არ შეწყდება „აგრესია", ესე იგი ვიეტნამელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელსაც ვაშინგტონი წარმოსახავს, როგორც „აგრესიას".

პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ დათანხმდა სახელმწიფო მდივნის მოადგილის ჯორჯ ბოლის გადადგომას და განზრახული აქვს მის ადგილზე დანიშნოს ახლანდელი იუსტიციის მინისტრი ნიკოლას კატცენბახი. ჯონსონმა კორესპონდენტებს აცნობა აგრეთვე სხვა დანიშვნები სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობაში.

## ჩომბე ტრიბუნალის წინაშე წარსდგება

**ბრაზავილი,** 21 სექტემბერი. (საქდესი). კონგოელი ხალხის მოღალატე მოიზ ჩომბე წარსულ და ახლანდელ დანაშაულთათვის საგანგებო სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარსდგება. კინშასის კონგო ყოველ ღონეს იხმარს, რომ გაიცეს მისი დაპატიმრების საერთაშორისო ორდერი, განაცხადა დღეს კინშასის რადიომ.

ჩომბე, ხაზს უსვამს რადიო, ევროპის ზოგიერთი დედაქალაქის სამსახურში მყოფი მარიონეტია. იგი ემსახურება საერთაშორისო ფინანსური ოლიგარქიის ინტერესებს, რომელსაც სურს განაგრძოს კონგოს სიმდიდრეთა ძარცვა. ადრე თუ გვიან, აღნიშნავს შემდეგ კინშასის რადიო, ჩომბემ, კიდევაც რომ დაიმალოს, პასუხი უნდა აგოს თავის დანაშაულთათვის კონგოელი ხალხის წინაშე. კონგოს არ სჭირდება ჩომბე.

დასასრულ რადიო მოუწოდებს კონგოელ ხალხს გაათრკეცოს სიფხიზლე, რათა ჩაშალოს რესპუბლიკის მტრების ყველა ცდა კვლავ კოლონიად გადააქციონ კინშასის კონგო. რესპუბლიკის ეკონომიურ დამოუკიდებლობას, აცხადებს რადიო, რაც უნდა დაგვიჯდეს განვამტკიცებთ, უცხოეთის მეურვეობას კი ზიზღით უარვყოფთ.



ძია სემის ახალი პორტრეტი.
მხატვარი ი. ქოქიაშვილი.

## უწესივრობანი „სერვეიორ-2"-ში

ნიუ-იორკი, 21 სექტემბერი. (საქდესი). ავტომატურ სადგურ „სერვეიორ-2"-ში, რომელიც მთვარისაკენ მიფრინავს, დღეს ფრენის ტრაექტორიის კორექციის დროს არ ჩაირთო ერთ-ერთი რაკეტული ძრავა. სადგურმა დაიწყო უწესრიგოდ ტრიალი. უწესივრობის აღმოფხვრის ცდებს წარმატება არ მოჰყოლია.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტო პასადენიდან (კალიფორნიის შტატი) იუწყება, საკონტროლო ცენტრის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ, წარუმატებლობის მიუხედავად, ხელს არ იღებენ თავიანთ განზრახვაზე რბილად დასვან „სერვეიორი" მთვარეზე.

ნიუ-იორკი. 22 სექტემბერი. (საქდესი). დღეს განახორციელეს უკანასკნელი უშედეგო ცდები გადაერჩინათ უწესრიგოდ მოტრიალე ავტომატური სადგური „სერვეიორ-2", რომელიც მთვარისაკენ მიდიოდა. რადიოკავშირი სადგურთან დაკარგულია.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, დღეს მეცნიერებმა განაცხადეს, რომ სრული წარუმატებლობით დამთავრდა სადგურის გაშვება, რომელიც რბილად უნდა დამჯდარიყო მთვარეზე და გადმოეცა მისი ზედაპირის სურათები.

## მშრალი გიგანტი დოკი

**ტოკიო, 21 სექტემბერი. (საქდესი). იაპონიის ტრანსპორტის სამინისტრომ დაამტკიცა მსოფლიოში ყველაზე დიდი მშრალი დოკის მშენებლობის პროექტი. ასეთი დოკი გემთმშენებლებს საშუალებას მისცემს აავონ 300-400 ათასტონიანი გემები.**

**გიგანტი დოკის მშენებლობის ლიცენზია გასცა „მიცუი ძოსენის" გემთსაშენებელმა კომპანიამ. ვარაუდობენ, რომ დოკის მშენებლობა 1968 წელს დამთავრდება. დოკის სიგრძე იქნება 400, ხოლო სიგანე — 72 მეტრი.**

## წყალდიდობა სამხრეთ ვიეტნამში

**ლონდონი,** 21 სექტემბერი. (საქდესი). რეიტერის სააგენტოს საიგონელი კორესპონდენტი იმოწმებს სამხრეთ ვიეტნამის რადიოს ცნობას და იტყობინება, რომ 10 ათასზე მეტი კაცი უსახლკაროდ დარჩა ძლიერი წყალდიდობის გამო, რომელმაც წალეკა სამხრეთ ვიეტნამისა და კამბოჯის საზღვრის გაყოლებით მდებარე დაბლობი რაიონები.

ამ კვირის დამდეგს, აღნიშნულია ცნობაში, 4 ათასამდე კაცი აგრეთვე უსახლკაროდ დარჩა მდინარე მეკონგის ადიდებისა და ახლომდებარე მიწების დატბორვის შედეგად.

## საფრანგეთი უარყოფს ულტიმატუმებს

**პარიზი, 21 სექტემბერი. (საქდესი). საფრანგეთის წარმომადგენელმა პიერ დე ლესმა დღეს კვლავ დაადასტურა, რომ საფრანგეთის მთავრობა უარს ამბობს გაიღოს რაიმე ხარჯები, რომლებიც უკავშირდება ჩრდილოეთის ატლანტიკური ბლოკის შტაბებისა და სხვა სამხედრო ორგანოების გადატანას საფრანგეთიდან ბელგიაში, იტალიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ჰოლანდიაში. მთავრობა, განაცხადა მან, არ ცნობს თავს პასუხისმგებლად ამ ხარჯებისათვის. მოთხოვნა, რომ საფრანგეთმა იკისროს ხარჯების ნაწილი საფრანგეთიდან ნატოს დაწესებულებათა გადასაყვანად, კვლავ წაუყენა დღეს საფრანგეთს თოთხმეტმა ნატოელმა პარტნიორმა ამ ბლოკის მუდმივ წარმომადგენელთა საბჭოს მორიგ სხდომაზე, რომელიც დღეს გაიმართა აქ.**

**პიერ დე ლესმა განაცხადა აგრეთვე, რომ საფრანგეთი აპირებს კვლავ მიიღოს მონაწილეობა ნატოს ორი ორგანოს საქმიანობაში (რომლებიც საბოლოო ანგარიშით აგრეთვე უნდა გაიყვანონ საფრანგეთის ტერიტორიიდან). ეს ორგანოებია საზენიტო მართული რეაქტიული ჭურვების წარმოების ორგანიზაცია და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის წევრ ქვეყნებში მიღებული შეიარაღების მომარაგებისა და რემონტის სააგენტო.**

## აღანაშაულებენ პარტიულ კომიტეტებს

**პეკინი,** 21 სექტემბერი. (საქდესი). პეკინის ქუჩებში ახლა ბევრი ავტობუსი და სატვირთო მანქანაა, რომლებიც ჩამოვიდა ჩინეთის დედაქალაქიდან ასეულობით კილომეტრით დაშორებული შანსის, ძიანსუს, ხუნანის პროვინციებიდან და ჩინეთის სხვა რაიონებიდან. ეს არის „ხუნვეიბინებისა" და „რევოლუციურ კავშირ-მოსწავლეთა" ტრანსპორტი, რომლებიც დედაქალაქში ჩამოვიდნენ „რევოლუციური ურთიერთობის" დასამყარებლად და „კულტურული რევოლუციის" წარმოების გამოცდილების გასაზიარებლად. პეკინში ყველგან გაკრულია უზარმაზარი ტრანსპარანტები, რომლებიც მოსახლეობას მოუწოდებენ გულთბილად შეხვდეს სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ „ხუნვეიბინებს".

ამასთან ცენტრალური და პროვინციული პრესა დაბეჯითებით მოუწოდებს „ხუნვეიბინებს" „კულტურული რევოლუციის" განხორციელებასთან ერთად წავიდნენ სასოფლო-სახალხო კომუნებში მოსავლის ასაღებად.

პეკინის ბევრ გზაჯვარედინზე აგებულია უზარმაზარი სტენდები, რომლებზეც წერენ მაო ძე-დუნის გამონათქვამებს და სხვადასხვა ლოზუნგებს, ხატავენ სურათებს. ზოგიერთი სტენდი სამსართულიანი სახლის სიმაღლისაა.

ქალაქში კვლავ ავრცელებენ ფურცლებს, რომლებშიც ნათქვამია, რომ ხდება „რევოლუციურ მოსწავლეთა" შეტაკებანი საწარმოთა მუშებთან, აგრეთვე შეტაკებანი მოსწავლეთა ცალკეულ ჯგუფებს შორის. ფურცლებში კვლავ აკრიტიკებენ ჩინეთის კომპარტიის პროვინციულ, საქალაქო და სხვა კომიტეტებს, კერძოდ ჩინეთის კომპარტიის ხუნანის პროვინციისა და ქალაქ ჩანშის კომიტეტებს.

როგორც გაზეთი „ხუნან ჟიბაო" წერს, ჩინეთის კომპარტიის ხუნანის პროვინციული კომიტეტის გადაწყვეტილებით მოხდა ჩანშის საქალაქო კომიტეტის რეორგანიზაცია, ხოლო ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით ჩინეთის კომპარტიის პროვინციული კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობის შემსრულებელი მოხსნილია თანამდებობიდან.

ვრცელ პროკლამაციაში ხუნანის „უნივერსიტეტის" რევოლუციურმა მასწავლებლებმა და სტუდენტებმა" ჩინეთის კომპარტიის ამ ორ კომიტეტს წაუყენეს „ბრალდება", რომ „მაღლა არ ეჭირათ მაო ძე-დუნის იდეების დროშა", „პროპაგანდას არ უწევდნენ მაო ძე-დუნის იდეებს" და „მაო ძე-დუნის იდეების წინააღმდეგაც კი გამოდიოდნენ". პროკლამაციაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ამ კომიტეტების ზოგიერთი ხელმძღვანელი „ხალხის მასებს აქეზებდა" მოსწავლეთა წინააღმდეგ გამოსვლისათვის, და მოსწავლეთა ერთ ნაწილს აქეზებდა მეორე ნაწილის წინააღმდეგ.

პეკინის თითქმის ყველა რაიონში გაკრულია „ხუნვეიბინების" პროკლამაციები ქალაქ სიანის ამბებზე, სადაც „ხუნვეიბინებისა" და „რევოლუციურ მოსწავლეთა" წინააღმდეგ „გამოიყენეს" ძალა". როგორც პროკლამაციაში წერია, ასეთი ინციდენტები მოხდა 4, 14, 15, 16, 20 აგვისტოს აგრეთვე სექტემბერში. ფურცლებში აღნიშნულია, რომ „ხელისუფლების სათავეში მდგომმა, მაგრამ კაპიტალისტური გზით მომავალმა ერთმა მუჭა ადამიანებმა" დარაზმეს მუშები და მოსამსახურენი, რათა გამოსულიყვნენ სიანის უმაღლეს სასწავლებელთა „ხუნვეიბინების" წინააღმდეგ. პასუხისმგებლობა ამ ამბებისათვის, წერენ „ხუნვეიბინები", ეკისრება ჩინეთის კომპარტიის შენსის პროვინციულ კომიტეტს.

ქალაქ შიძიაჯუანის მანქანათმშენებლობის ინსტიტუტის სტუდენტთა პროკლამაციაში აღწერილია ამ ინსტიტუტთან არსებული ქარხნის „მუშათა ნაწილისა" და სტუდენტთა „კონფლიქტი". ფურცელში აღნიშნულია, რომ ერთი თვის მანძილზე — 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე — მუშები, ბრძანების მიუხედავად, უარს ამბობდნენ მუშაობის დაწყებაზე. სტუდენტები აცხადებენ, რომ ამ მოქმედებისათვის მუშებს „აქეზებდა" პარტკომის წევრი, ინსტიტუტის დირექტორი ვან ხოუ-შენი.

პეკინის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტთა „მებრძოლი რაზმი" თავის „დაძიბაოში" თავს ესხმის და აკრიტიკებს „კულტურული რევოლუციის განხორციელების სამუშაო ჯგუფს", რომელიც ინსტიტუტში გამოგზავნა ჩინეთის კომპარტიის პეკინის საქალაქო კომიტეტმა. „დაძიბაოს" ავტორები წერენ, რომ ინსტიტუტში ყოფნის 50 დღის მანძილზე ეს სამუშაო ჯგუფი, არა თუ სათავეში არ ჩაუდგა „კულტურულ რევოლუციას" და ხელი არ შეუწყო მას, არამედ დაბრკოლებებსაც უქმნიდა. წერენ, რომ „სამუშაო ჯგუფს ეშინია მასების, ეშინია უწესრიგობის, ეშინია მუშაკების მოხსნა თანამდებობიდან. „მებრძოლი რაზმი" მოუწოდებს „რევოლუციურ ამხანაგებს" მხარი დაუჭირონ მათს ბრძოლას „სამუშაო ჯგუფის" წინააღმდეგ, ვინაიდან იგი გამოდის ცენტრალური კომიტეტის მითითებების წინააღმდეგ, მაო ძე-დუნის მითითებების წინააღმდეგ, „კულტურული რევოლუციის" წინააღმდეგ.

# დათუნაშვილის რეკორდი

„დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი) — 5:0 (0:0). თბილისის „დინამოს" სტადიონი. 22 სექტემბერი. მსაჯი ს. ალიმოვი (მოსკოვი).

„დინამო" — ურუშაძე, ბ. ხიჩინავა, ჭელიძე, შერგელაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ილიადი, დათუნაშვილი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი.

„არარატი" — ა. აბრამიანი, სეროპიანი, ავეტისიანი, ხიომინი, მესროპიანი, კოვალენკო, ოვსეპიანი, მ. აბრამიანი (იუნი), ევიზარიანი, ოვივიანი, ხიმონიანი.

ყოველთვის ასეა; თბილისის „დინამოსა" და ერევნის „არარატის" შეხვედრა, რა მდგომარეობაც არ უნდა ეკავოთ გუნდებს სატურნირო ცხრილში, დიდ ინტერესს იწვევს. ინტერესს იმიტომ, რომ მაყურებელი, როგორც წესი, საინტერესო ბრძოლის მოწმე ხდება. გუშინაც ასე იყო.

თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო, უპირატესობა აშკარად მასპინძელთა მხარეზეა, მაგრამ გოლით არც ერთი შეტევა არ დამთავრებულა.

მეორე ტაიმი არ ჰგავდა პირველს. დინამოელები თითქოსდა შეიცვალნენ, ისინი ათამაშდნენ ისე, როგორც მათი გამოსვლების საუკეთესო წლებში. მოედანზე იყო ელვისებური იერიშები, მრავალსვლიანი კომბინაციები, კარში მოულოდნელი დარტყმები...

დინამოელთა შეტევებს ტონი დათუნაშვილის მიერ მე-3 წუთზე გატანილმა გოლმა მისცა. ამის შემდეგ 27 წუთის განმავლობაში კიდევ ოთხჯერ იქნა ერევნელთა კარი აღებული და ყველა ბურთის ავტორი ილია დათუნაშვილი გახდა. მან გოლები გაიტანა მე-13 და მე-14, 27-ე და 30-ე წუთზე. ყველა ბურთი ლამაზი და კანონზომიერი იყო. დათუნაშვილი მინდორზე საუკეთესო იყო, რადგან ყოველთვის იქ გაჩნდებოდა, საიდანაც საფრთხე ემუქრებოდა მოწინააღმდეგეს. კარის აღების ყველა შანსი გამოიყენა, რომელიც პარტნიორებმა შეუქმნეს.

ერთ მატჩში ერთი მოთამაშის მიერ ხუთივე გოლის გატანა რეკორდია საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში.

მიმდინარე სეზონში თბილისელი მაყურებელი არ არის განებივრებული დინამოელთა კარგი თამაშით, გატანილი გოლების სიუხვით. გუშინდელი მატჩი საბედნიეროდ გამონაკლისია. გუნდის მრავალათასიან გულშემატკივარს სურს, რომ ასეთი ლამაზი გამარჯვება შემდგომშიც გამეორდეს.

## მატჩები და შედეგები

**გუშინ** კიდევ ხუთი მატჩი გაიმართა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის პირველ ჯგუფში.

**ტაშკენტი.** ადგილობრივმა „პახტაკორმა" მიიღო როსტოვის სკა. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1:0 სტუმრების სასარგებლოდ.

**ოდესა.** თანაკლუბელების, მოსკოვის ცსკა-სა და ოდესის სკა-ს ორთაბრძოლის შედეგია 1:0, გაიმარჯვა ცსკა-მ.

**მოსკოვი.** დედაქალაქის ორი გუნდის „ტორპედოსა" და „ლოკომოტივის" ორთაბრძოლაში უპირატესობა ტორპედოელთა მხარეზე იყო — 2:1.

**დონეცკი.** „შახტიორი" უკანასკნელ ხანს აღმავლობას განიცდის. ლენინგრადის „ზენიტთან" მატჩშიც წარმატებით იბრძოდნენ დონეცკელები და გამარჯვებაც მათ მხარეზე იყო — 1:0.

**კუიბიშევი.** „კრილია სოვეტოვი" თავის ქალაქში ბაქოს „ნეფტიანიკს" შეხვდა. სტუმრები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ და დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 3:2.

## გათამაშების ცხრილი

„ა" კლასის პირველი ჯგუფი
მდგომარეობა 23 სექტემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კ.) | 26 | 18 | 7 | 1 | 53-12 | 43 |
| „ტორპედო" (მ.) | 28 | 14 | 7 | 7 | 45-27 | 35 |
| ცსკა | 24 | 14 | 6 | 4 | 52-30 | 34 |
| სკა (რ.) | 26 | 15 | 2 | 9 | 41-37 | 32 |
| „ნეფტიანიკი" | 26 | 11 | 7 | 8 | 35-23 | 29 |
| „სპარტაკი" | 24 | 11 | 7 | 6 | 33-28 | 29 |
| „პახტაკორი" | 24 | 8 | 12 | 4 | 24-17 | 28 |
| „დინამო" (მნ.) | 26 | 10 | 8 | 8 | 31-28 | 28 |
| „კაირატი" | 24 | 10 | 6 | 8 | 23-23 | 26 |
| „დინამო" (თბ) | 25 | 8 | 9 | 8 | 31-25 | 25 |
| „დინამო" (მ.) | 25 | 9 | 7 | 9 | 35-29 | 25 |
| „ზენიტი" | 27 | 10 | 5 | 12 | 32-41 | 25 |
| „შახტიორი" | 25 | 10 | 4 | 11 | 25-30 | 24 |
| „ჩერნომორეცი" | 26 | 6 | 10 | 10 | 23-30 | 22 |
| „არარატი" | 26 | 6 | 8 | 12 | 18-41 | 20 |
| „ტორპედო" (ქ.) | 26 | 7 | 4 | 15 | 33-49 | 18 |
| „კრ. სოვეტ." | 25 | 3 | 11 | 11 | 17-35 | 17 |
| „ლოკომოტივი" | 25 | 5 | 4 | 16 | 19-37 | 14 |
| სკა (ო.) | 26 | 1 | 8 | 17 | 11-39 | 10 |

## შეხვედრა ალმა-ატაში

**ქუთაისის** ტორპედოელებმა თავისი მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ყაზახეთის დედაქალაქში, ადგილობრივი „კაირატის" წინააღმდეგ გამართეს.

ორთაბრძოლის პირველი ორმოცდახუთი წუთი ფრედ — 1:1 დამთავრდა. ჯერ ქუთაისელმა ხაჟალიამ გახსნა ანგარიში და წინ გაიყვანა თავისი გუნდი. მასპინძლები დამარცხების წინაშე დადგნენ. ისინი შეტევაზე გადავიდნენ და სასურველ შედეგს მიაღწიეს. ჯერ ვორონჩიხინმა გაქვითა ანგარიში. მეორე ტაიმის დასასრულს კი სტეპანოვმა მეორე ბურთი გაიტანა ავტოქარხნელთა კარში.

მატჩი მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 2:1.

კომუნისტი სპორტი

## სპორტული ქრონიკა

⊙ **ბუდაპეშტში,** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და დანიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 6:0. ბურთები გაიტანეს ალბერტმა (2), მესეიმ, ბენემ, ფარკაშმა, ფენვეშიმ.

⊙ **ინგლისის** ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ამხანაგურ მატჩში გამანადგურებელი ანგარიშით 12:0 დაამარცხა ირლანდიის ნაკრები.

⊙ **უკვე** გავიდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალში იუგოსლავიის ჩემპიონი „ვოივოდინა". მისი მეტოქე ავსტრიის კლუბი „ადმირა" იყო. პირველი მატჩი იუგოსლაველებმა ვენაში მოიგეს — 1:0, თავის მოედანზე კი ფრედ 0:0 ითამაშეს.

⊙ **პრაქტიკულად** გაინაღდა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალში გასვლა საკლუბო გუნდმა „მიუნჰენ-1860". პირველი მატჩი მათ მოუგეს „ომონიას" (კვიპროსი) — 8:0.

## უძლიერესთა ფორუმზე

დორტმუნდში (გფრ) გრძელდება მსოფლიოს უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ჩემპიონატი. გუშინ, ასპარეზობის მეორე დღეს, ბრძოლაში ქალები ჩაებნენ, რომლებიც სავალდებულო პროგრამით გამოდიოდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლა ძირითადად საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენებს შორის წარიმართა.

სავალდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურდა ჩეხოსლოვაკიელი ვერა ჩესლავსკა, მეორე ადგილზეა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ნატალია კუჩინსკაია. გუნდურ ჩათვლაში წინ საბჭოთა კავშირის ნაკრებია, მეორეზე — ჩეხოსლოვაკია.

## გარდაიცვალა ვ. ი. ვექსლერი

**დუბნა, 22 სექტემბერი. (საქდეს კორ.). დღეს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ორმოცდაცხრამეტი წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა ფიზიკოსი, ლენინური პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ვლადიმერ იოსების ძე ვექსლერი.**

## ამინდი

**გუშინ დასავლეთ საქართველოში იდგა მცირეღრუბლიანი და მშრალი ამინდი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ალაგ-ალაგ მოდიოდა ხანმოკლე წვიმა ელჭექით. მაქსიმალური ტემპერატურა იყო: სახერეში — 26, გეგეჭკორსა და სამტრედიაში — 25, გუდაუთში, ცხაკაიაში, ლანჩხუთში, ცაგერში, ონში, სამტრედიაში, წიფასა და ახალციხეში — 24, გაგრაში, სოხუმში, გალში, ზუგდიდში, ფოთში, ანასეულში, ბათუმსა და ახალქალაქში — 23, ქობულეთში, მესტიაში, ხაშურში, გორში, გარდაბანსა და ბორჯომში — 22, ცხინვალში, მუხრანში, თბილისში, წითელწყაროსა და დუშეთში — 21, ბოლნისში, გურჯაანსა და ფასანაურში — 20, საგარეჯოში — 19, სიღნაღში — 18, წალკასა და მანგლისში — 16 გრადუსი.**

**დღეს საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 19-24 გრადუსი იქნება. თბილისში უნდა ველოდოთ ცვალებად მოღრუბლულობასა და უმნიშვნელო წვიმას, დაუბერავს სუსტი ქარი, ტემპერატურა კი 21-23 გრადუსი იქნება.**

## ჩა ვიაროთ, ჩა მოვისმინოთ

### თეატრები

**23 სექტემბერი**

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური** — აბესალომ და ეთერი (პრემიერა), **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — გზები (დასაწყისი სად. 7 ს. და 30 წ.). **ფილარმონიის საზაფხულო** — შვეციის ვარიეტეს მსახიობთა კონცერტი (დასაწყისი სად. 8 ს.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბორის ძნელაძე (№ 24 აბონ. სად. 6 ს.).

### ტელევიზია

**23 სექტემბერი**

11.00 — მხატვრული ფილმი, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი. 18.40 — საუბარი „ყოველმხრივ მზად შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს პარტიული განათლების სისტემაში" (სტუდიაში — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე შ. სალარიძე), 19.00 — „უკრავს მარინე მდივანი", 19.30 — კინონარკვევი, 19.40 — გადაცემა ციკლიდან „რუსთაველიანა", 20.20 — მხატვრული ფილმი, 21.35 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.55 — გადაცემათა პროგრამა 24 სექტემბრისათვის, 22.20 — „ხელოვნების ოსტატები" — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მ. რომანოვი (გადმოცემა მოსკოვიდან).

**24 სექტემბერი**

15.30 — გადაცემათა პროგრამა, 15.35 — „სახელოვანი იუბილეს წინადღეს" (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 16.05 — დოკუმენტური ფილმი, 17.05 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ოქვენი საყვარელი მწერალი" — მარიჯანი, 17.35 — „კინომოგზაურთა კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.35 — „ჩვენი სატელევიზიო აფიშა", 19.10 — დოკუმენტური ფილმი, 20.10 — გადაცემა „თამარის პორტრეტები" (სტუდიაში ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი გაიანე ალიბეგაშვილი), 20.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.55 — გადაცემათა პროგრამა 25 სექტემბრისათვის, 21.00 — მსოფლიოს პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში (გადმოცემა დორტმუნდიდან), 23.30 — მლერის კვარტეტი „აკორდი".

**მეცხრე არხით** — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დილის 10 ს. 30 წ.

რედაქტორის მოადგილე
გ. თათარიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები — 9-93-03, 9-03 09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9 66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9 52 46. საბჭოთა მშენებლობის — 3 18 70 მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90. წერილების — 9 73 24 ილუსტრაციის — 3-28 54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 ![illegible] ЭО 12074 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.